პროფესიულიგანათლება

N1·21

ISSN 2587-5019
9 772587 501003

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების საქართველოს

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ივოვე შენი პროფესია!

აირჩიე ის და რეგისტრაცია გაიარე აქ:

www.vet.emis.ge

აქ შეიძლება იყოს თქვენი რეკლამა

შინაარსი

2 ნინო ელბაქიძე
ჟურნალის მისია

3 ირმა კახურაშვილი
პროფესიული განათლება წარმატების მიღწევის რეალური შესაძლებლობა

8 პროფესიული განათლება
შორენა ტყეშელაშვილი
ზოგადი განათლების ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში

12 მოსაზრება
ირმა კახურაშვილი
„მჯერა, რომ ბიზნესის ჩართულობით ცვლილებები პროფესიულ განათლებაში შესაძლებელია“

15 ექსპერტი
ნინო ზამბახიძე
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია პროფესიული განათლების მხარდამჭერია

17 პროფესიული განათლება
შორენა ტყეშელაშვილი
შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“ – ცოდნის ცენტრი სასოფლო-სამეურნეო განათლებაში

22 ერთი კოლეჯის ამბავი
ირმა კახურაშვილი
„აისელების“ საერთო მიზანი: ხარისხიანი პროფესიული განათლება = დასაქმება = ქვეყნის განვითარება

22 წარმატების ისტორია
შორენა ტყეშელაშვილი
ანია ზალცმანის წარმატების ისტორია პროფესიული განათლების დახმარებით

30 კვლევა
ნინო ელბაქიძე
მაია არავიაშვილი
პანდემიის გავლენა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლო საწარმოებში

34 პროფესიული განათლების ისტორია
ია გიგიბერია
პროფესიული განათლების ისტორიული წინამძღვრები საქართველოში

პროფესიულიგანათლება

N1·21

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს პროფესიული განათლების განვითარების პროგრამისა და შვეიცარიის სახელმწიფოს დახმარებითა და დაფინანსებით.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – გაეროს პროფესიული განათლების განვითარების პროგრამის პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი
თამარ ქიტიაშვილი – განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
თეა გულუა – გაეროს პროფესიული განათლების განვითარების პროგრამის ინოვაციების და ცოდნის მართვის ექსპერტი
გიორგი პერტაია – სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, კოლეჯის დირექტორი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

ყდის ფოტოზე კოლეჯ „აისის“ სტუდენტი დათო კეკვიაშვილი.

რატომ პროფესიული განათლება?

ნინო ელბაქიძე

პროფესიული განათლება ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და ცვალებადი მიმართულებაა განათლების სისტემაში. დინამიკურობასა და ცვალებადობას განაპიროებებს შრომის ბაზრის ის ტენდენციები, რომლებიც სწრაფად იცვლება და ეკონომიკის საჭიროებებს ერგება.

პროფესიული განათლება იმითაც არის განსაკუთრებული, რომ მას ბევრი აქტორი და დაინტერესებული მხარე ჰყავს: სახელმწიფო სექტორი, კერძო სექტორი, პროფესიული განათლების მიღების მსურველი, ზრდასრული საზოგადოება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფესიული განათლება საზოგადოების ყველა ფენის ინტერესსა და საჭიროებებს მოიცავს.

ელექტრონული ჟურნალი „პროფესიული განათლება“ მნიშვნელოვან როლს შეიტანს საზოგადოების ინფორმირებულობასა და პროფესიული სწავლების მნიშვნელობის გააზრებაში. როგორც აღვნიშნეთ, პროფესიულ განათლებას ბევრი დაინტერესებული მხარე ჰყავს, რაც ელექტრონულ ჟურნალს განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე აყენებს. მან უნდა შეძლოს, ყველა მხარის ინტერესს უპასუხოს. ამ კომუნიკაციაში ორი მთავარი გზავნილი დომინირებს: პირველი გზავნილის სამიზნე არის მოზარდი ან ზრდასრული, უბრალოდ პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირი – შეძლოს, იპოვოს ის პროფესია, რომელიც უყვარს, აინტერესებს და სურს, გახდეს პროფესიონალი. მეორე გზავნილი კი კერძო სექტორისთვისაა – იპოვოს მისი ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი პროფესიონალი კადრი. კერძო სექტორს პროფესიულ განათლებასთან თანამშრომლობა ეხმარება, მოიძიოს ისეთი კადრი, რომელიც მას ორგანიზაციული განვითარებისთვის ესაჭიროება. თანამშრომლობა კერძო სექტორსა და საჯარო სექტორს შორის ურთიერთნდობას აძლიერებს. ჟურნალი, კერძო-საჯარო სექტორებს შორის დიალოგი ამ ნდობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

პროფესიული განათლების უკეთესი კოორდინაციისთვის, გაეროს პროგრამისა და შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით, პროფესიული უნარების სააგენტო დაფუძნდა. სააგენტო პროფესიულ განათლებაში ყველა აქტორის ჩართულობაზე იზრუნებს. მის პრიორიტეტულ მიმართულებათაგან ერთ-ერთი შრომის ბაზრის შესაბამისი პროგრამების იდენტიფიცირება, მომზადება და შემდეგ ამ პროგრამებით მომზადებული პროფესიონალების დასაქმების ხელშეწყობაა. მით უფრო წარმატებულია პროფესიული განათლება, რაც უფრო წარმატებულია პროფესიული სტუდენტი ჯერ სასწავლებელში და სწავლის დასრულების შემდეგ – შრომის ბაზარზე. ადამიანის, მოქალაქის კეთილდღეობა პროფესიული განათლების უმთავრესი მიზანია.

ჟურნალი ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს, გამოხატონ პოზიცია, მოქალაქეს – მიიღოს რელევანტური ინფორმაცია და დაგეგმოს საკუთარი პროფესიული მომავალი, პროფესიულ მასწავლებელს – მიიღოს და გააზიაროს სასწავლო რესურსები, ადმინისტრაციულ პერსონალს – ჰქონდეს წვდომა მართვის თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებზე, ბიზნესს – გაარკვიოს, როგორ და სად ითანამშრომლოს პროფესიულ განათლებასთან, მშობლებს – იცოდნენ, რა შესაძლებლობებს სთავაზობს პროფესიული განათლება მათ შვილებს, ზრდასრულებს – გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა ან შეიცვალონ პროფესია, გაიფართოონ ინტერესის სფერო.

ჩვენ გვინდა, ხმა მივაწვდინოთ ყველას, ვისაც აქვს სურვილი, მუდმივად ვითარდებოდეს.

პროფესიული განათლება
წარმატების მიღწევის რეალური შესაძლებლობა

ირმა კახურაშვილი

პროფესიული განათლების მიღება და უნარების გაუმჯობესება ადამიანს მეტ თავდაჯერებულობას სძენს და დადებითად აისახება ცხოვრების ხარისხზე, შემდეგ კი – ქვეყნის კეთილდღეობაზე. ამიტომ არის პროფესიული განათლება საქართველოს განათლების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი სფერო. ბოლო წლების განმავლობაში ის ფუნდამენტურად შეიცვალა და მოდერნიზდა, გახდა მეტად მიახლოებული ევროპულ სტანდარტებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, თამარ ქიტიაშვილის თქმით, მისი გუნდი, რეფორმის ფარგლებში, კვლავ აგრძელებს ზრუნვას პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და სისტემის ინტერნაციონალიზაციაზე, პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, ამ ტიპის განათლების მიმზიდველობის გაზრდაზე.

ქალბატონო თამარ, რომელ საკვანძო ცვლილებებს გამოყოფდით პროფესიული განათლების რეფორმის მიმდინარეობისას?

– ეს საკითხი იმდენად კომპლექსურია, რომ რთულია თქმა, ამ სფეროს წარმატებისთვის და რეალური ცვლილებებისთვის რომელი კომპონენტი იყო უფრო მნიშვნელოვანი. თუმცა, ყველაზე მეტად რითიც ვამაყობთ და მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს იქნება პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ეტაპის მთავარი საყრდენი, სწორედ კერძო და საჯარო სექტორს შორის სისტემური პარტნიორობაა. შესაძლოა განათლების სხვა მიმართულებისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაკლებად ყოფილიყო, მაგრამ როდესაც პროფესიულ განათლებაზე ვსაუბრობთ, წარმატების ხაზი ცალსახად ასეთი ტიპის პარტნიორობაზე გადის.

იმ განვითარებადმა ქვეყნებმა, რომლებმაც ამოიცნეს მთავარი არსი პროფესიული განათლების რეფორმის წარმატებისა, პოსტსაბჭოთა სივრცესა თუ ახალ ევროპულ ქვეყნებში შეძლეს ეპოვათ მოქნილი, თავიანთი ქვეყნების საჭიროებებზე მორგებული პარტნიორობის ფორმა და მიაღწიეს კიდეც წარმატებას.

ჩვენი რეფორმის ფარგლებში ყოველთვის არსებობდა იმის რისკი, რომ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებით და პრაქტიკით ნაკარნახევი ტენდენციების გადმოღებას არ გავეტაცეთ. თუმცა, საბოლოოდ, ჩვენს ქვეყანაშიც მომწიფდა აღნიშნული პარტნიორობის ეროვნული მოდელი. ახლა უკვე სიამაყით ვამბობთ, რომ დადგა ამ მოდელის მუშაობის ეტაპი. 2021 წლის აპრილში ჩვენ შევქმენით ახალი პლატფორმა – პროფესიული უნარების სააგენტო.

ამ სააგენტოს ხშირად რეფორმის განვითარების ახალ ეტაპად მოიხსენიებენ, რით არის ეს განპირობებული?

– სააგენტო საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი, უნიკალური პროდუქტია. პლატფორმის თანადამფუძნებელი, განათლების სამინისტროსთან ერთად, სავაჭრო სამრეწველო პალატაა. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კი, ექვსი სხვადასხვა მინისტრის მოადგილესთან ერთად, ექვსი უმსხვილესი ბიზნესგაერთიანების წარმომადგენლები არიან. სწორედ მათ უნდა გადაიბარონ მართვა, ერთად მიიღონ გადაწყვეტილებები პროფესიული განათლების სფეროში არსებული სხვადასხვა გამოწვევის საპასუხოდ. მხარეებს შორის უკვე შედგა თანხმობის აქტი. რა თქმა უნდა, ახლა წინაა იდეების ხორცშესხმა და სირთულეების დაძლევა,

მაგრამ ორივე მხარე მზადაა, ამის განსახორციელებლად ჩადოს რესურსი.

შესაძლოა სახელმწიფო და კერძო სექტორი მზადაა ახალი გამოწვევებისთვის, მაგრამ არიან თუ არა მზად ის სასწავლო დაწესებულებები, სადაც ჯერ კიდევ ვერ გაიმართა სისტემები, ინფრასტრუქტურა ან რესურსის პრობლემაა?

– რეფორმის კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ დაწესებულების წარმოჩენაა. სასწავლებელი ცენტრალური ფიგურაა, ის ზრუნავს ჩვენს მთავარ სამიზნეზე - სტუდენტზე. ამიტომ ყველა რესურსი მიმართულია დაწესებულების გაძლიერებისკენ.

სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი დაწესებულებაა, მისი აღჭურვა და გაძლიერება თანამედროვე ინსტრუმენტებით, მეთოდებით, მიდგომებით. დაწესებულება, სახელმწიფო იქნება ის თუ კერძო, უნდა გახდეს უფრო ავტონომიური, რათა თვითონ გახდეს ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე პასუხისმგებელი.

დაწესებულება გადაიქცევა ეკოსისტემად, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მაღალპროფესიონალ მასწავლებელს, თანამედროვე მართვის მოდელსა და სისტემებს, სამეწარმეო განათლებისა და იმგვარ გარემოს, რომელიც წაახალისებს მომავალ სტუდენტს სამეწარმეოდ, ასევე დაახვედრებს მას თანამედროვე ინფრასტრუქტურას და სასწავლო სივრცეებს.

ერთობლიობაში ეს ყველაფერი ქმნის ძლიერ ინსტიტუციას, რომელიც იაზრებს, რომ მისი როლი მხოლოდ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა როდია – დილის ცხრა საათიდან შუადღის სამ საათამდე, არამედ ის თავს მოიაზრებს ძლიერ აქტორად, ქვეყნის განვითარების ერთიანი ჯაჭვის ნაწილად, რომელიც პასუხობს ლოკალურ, რეგიონულ საჭიროებას და, საერთო ჯამში, წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში.

ამავდროულად, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტის – როგორც ახალგაზრდა, ასევე ზრდასრული ადამიანის კარიერულ განვითარებაში, პიროვნული თვისებების, მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და სოციალურ ინტეგრაციაში.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო არ მუშაობს უშუალოდ სტუდენტთან. მისი სერვისებით პირდაპირ არ სარგებლობენ სტუდენტები, თუმცა სააგენტოს ყოველი მოქმედება მიზნად ისახავს საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა გაძლიერებას. სააგენტო არის შემკრები პუნქტი, სადაც გენერირდება, კრისტალიზდება ის ხედვები, რაც კერძო და საჯარო სექტორს აქვს, შემდგომში კი ეს ყველაფერი მიემართება დაწესებულების გაძლიერებისკენ.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ახალმა ავტორიზაციის სტანდარტმა კიდევ უფრო გაამყარა ეს პარადიგმა – კარგად გამოჩნდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტომონიურობის გაზრდის კონცეფცია, რაც ვლინდება არა მხოლოდ დაწესებულების უფლებრივ გაძლიერებაში, არამედ აფართოებს მისი პასუხისმგებლობის სპექტრს.

სტანდარტის გზავნილია, დაწესებულებამ თვითონ გაიაზროს თავისი როლი და მისია საზოგადოებაში, თვითონ შეისწავლოს თავისი საჭიროებები და სირთულეები და გაანალიზების შემდეგ ჩამოაყალიბოს განვითარების სტრატეგია, ხედვა და გეგმა, გააკეთოს რესურსების მობილიზება და მუდმივად იმუშაოს საკუთარი თავის განვითარებაზე, იყოს რაც შეიძლება ეფექტიანი საერთო მიზნის მიღწევისთვის.

თუკი აქამდე განათლების სამინისტროს როლი კოლეჯების კოორდინაცია იყო, გამოდის, რომ ახლა სურათი იცვლება?

– დიახ, სამინისტრო ხდება თავისი დაფუძნებული კოლეჯების ფინანსურად მხარდამჭერი. ასევე, ვაუჩერული დაფინასების გზით, კერძო კოლეჯებიც იღებენ გარკვეულ ფინანსურ რესურსს სამინისტროსგან პროგრამების განხორციელებისთვის, მაგრამ სააგენტო ხდება კოლეჯების მიერ დასახული გეგმებისა და სტრატეგიების განხორციელების მხარდამჭერი.

თავის მხრივ, სააგენტოს აქტივობებს, სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, სადაც განათლების სამინისტროს გარდა, როგორც აღვნიშნეთ, სხვა ხუთი სამინისტროა წარმოდგენილი, ასევე – ექვსი კერძო სექტორის ორგანიზაცია.

რომ შევაჯამოთ: დაწესებულება თვითონვე ხდება განმსაზღვრელი თავისი ოპერაციებისა. თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რა და რამდენი მოითხოვოს, რა განავითაროს და ეს მას უზარმაზარ პასუხისმგებლობას აკისრებს იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც სამინისტრო საჯარო კოლეჯისთვის ბიუჯეტს გასცემს, თავად კოლეჯი ხდება თავისი გეგმის წარმმართველი და პასუხისმგებელი ხარისხის ცენტრის წინაშე.

ეს სისტემა სრულიად სხვაგვარად გადააწყობს მონაწილე მხარეებისა და აქტორების როლებსა და პასუხისმგებლობებს. ვფიქრობ, ეს არის საუკეთესო მოდელი, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული და არა კონტროლსა და კოორდინაციაზე.

საბჭოთა წარსულიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების იმიჯი, პრესტიჟულობა ზოგჯერ მაინც გამოწვევად რჩება. ამ მხრივ როგორ ებრძვით სტერეოტიპებს?

– არა მგონია, დღეს პროფესიული განათლება რამენაირად დაკნინებული იყოს. ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ის, რომ მოქალაქეებს მივცეთ შესაძლებლობა, ისწავლონ, შეიძინონ ის უნარები, რაც ახლა სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას.

ვაკანსიების კვლევების მიხედვით და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, დღეს ქვეყნის ეკონომიკას სჭირდება, რომ დასაქმებული ადამიანების 80% პროფესიული კვალიფიკაციით იყოს, 20% კი – აკადემიური კვალიფიკაციით.

დღეს ჩვენი სამუშაო ძალა ეკონომიკას ვერ სთავაზობს იმ რესურსს, რაც მას სჭირდება. ჩვენი მიზანია, სწრაფად გადავეწყოთ და ის შევთავაზოთ, რაზეც მოთხოვნაა და რაც, ამავდროულად, არ დაგვიტოვებს ამდენ იმედგაცრუებულ უმაღლეს კურსდამთავრებულ სტუდენტს, რომელზეც მოთხოვნა ბაზარზე უბრალოდ არ არის.

საქმე ისაა, რომ ხშირად თავის არჩევანში თავდაუჯერებელი ახალგაზრდები ვერ საქმდებიან ბაზარზე, გამოსავალს ეძებენ და შეიძლება ისევ მოვიდნენ კოლეჯში, ახალი პროფესიის შესასწავლად. მოქალაქე უკვე ხვდება, რომ ამ განათლებით მას ეძლევა შანსი, უკეთესად იყოს თვითრეალიზებული.

ჩვენი მიზანია, პროფესიული განათლება გაძლევდეს წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.

ამდენად, თქვენი შეკითხვის პასუხად, მეორეხარისხოვანია პროფესიული განათლების დაკნინების საკითხი იმიტომ, რომ, თავისთავად, როდესაც ადამიანი ხედავს პერსპექტივას, ხდება წარმატებული. ეს უკვე ხდის პრესტიჟულს ამა თუ იმ პროფესიას.

პროფესიულ განათლებაზე განზოგადებით საუბარი – პრესტიჟულია თუ არა ის – არასწორია. ჩვენ უნდა ვისაუბროთ ამა თუ იმ პროფესიის პრესტიჟულობაზე. თუკი პროფესია ხდება დასაქმებადი, მაღალანაზღაურებადი, ავტომატურად პრესტიჟულიცაა.

დღეს ვერ მოძებნით საქართველოში ვერცერთ საჯარო და ალბათ, ვერც კერძო კოლეჯს, რომელიც არ დააკმაყოფილებს პოტენციური ბენეფიციარის მოთხოვნას. ყველა კოლეჯი ვიზუალურად თუ ინფრასტრუქტურით, სახელოსნოებით, ლაბორატორიებით ისევე გამოიყურება, როგორც მათი პარტნიორი სასწავლო ცენტრები საზღვარგარეთ.

ქალბატონო თამარ, როგორია პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტრული პროექტების ბოლო სტატისტიკა?

– კოლეჯების ქსელი ფართოვდება. გვაქვს ბევრი ახალი ლოკაცია. საჯარო სასწავლებლებით ყველა რეგიონია დაფარული. ზოგი ახალი შენობა შენდება, ზოგიც ხელმეორედ რეაბილიტირდება.

ასევე, ბევრი დაწესებულება კერძო და საჯარო პარტნიორობით იხსნება. ამის მაგალითია კოლეჯი „კონსტრუქტორი“ სამშენებლო მიმართულებით, სარკინიგზო კოლეჯი რკინიგზასთან თანამშრომლობით, სამთო ტურიზმისა და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა სამთო კურორტების სააგენტოსთან და სამთო გიდების ასოციაციასთან თანამშრომლობით და სხვა.

შარშანდლიდან წლევანდლამდე, პანდემიის პირობებში, 26 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას შევუდექით, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა.

სისტემაში ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ახალი შესაძლებლობების გაჩენისა და მასშტაბების ზრდის შესაბამისად, 2020 წელს პროფესიული განათლების მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 64.3 მილიონი ლარი.

გვაქვს მიმდინარე ინოვაციური პროექტები, კარგი პრაქტიკის განსაკუთრებული ცენტრები, მაგალითად, სამშენებლო და სატრანსპორტო ლოჯისტიკით ექსელენს-ცენტრი განვითარდება თბილისში, ღვინის ცენტრი – თელავში, საერთაშორისო ტურიზმის სკოლა – დუშეთში, გასტრონომიის საერთაშორისო სკოლა – გურჯაანში (ბასკეთის კულინარიის ცენტრთან თანამშრომლობით) და სხვ. სააგენტოს ახალი პლატფორმა უფრო დააჩქარებს ამ პროექტების განხორციელებას.

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, გვაქვს ახალი, მსხვილი ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც 22 მუნიციპალიტეტში მომავალი ხუთი წლის განმავლობაში დაგეგმილია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით, შეფასდა და შეიქმნა 20 სამიზნე სკოლის სია, სადაც დაგეგმილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსების მობილიზება.

პროფესიულ განათლებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია

ზრდასრულთა განათლებას. ამ მხრივ რა ცვლილებები გვაქვს?

– მსოფლიო ბაზარზე ასეთი ტენდენციაა – თანამედროვე ადამიანი რამდენჯერმე იცვლის პროფესიას და კარიერის გეზს. განვითარებულ ქვეყნებში მას ამის შესაძლებლობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძლევა, ის კომპეტენციებისა და ცოდნის მშენებლობის უწყვეტ ციკლშია.

2019 წლიდან ჩვენ შევქმენით მომზადება-გადამზადების ძალიან მოქნილი მექანიზმი. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, რომ სახელმწიფომ ეს პოლიტიკა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებით არ ჩაკეტა. მან განაცხადა, რომ ნებისმიერ იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს ზრდასრულთა განათლების მომზადება-გადამზადების პროვაიდერი.

მომზადება-გადამზადება პოზიციონირდა, როგორც ფორმალური განათლება – გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. მისი მიმწოდებელი შეიძლება იყოს კერძო კომპანია, რომელიც თავის წიაღში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის ფორმატში მოამზადებს კადრს. ამით ჩვენ ვზრდით ადამიანების დასაქმების, მათი ადგილზე „მიმაგრების“ შესაძლებლობას. ამ პროგრამის მიმართ ინტერესი იმდენად მაღალია, რომ ყოველწლიურად ორმაგდება ადგილების რაოდენობა შეთავაზებულ მომზადება-გადამზადებაში. ასევე მრავლდება შეთავაზებული პროგრამების ასორტიმენტიც.

აქვე დავამატებ: როდესაც უწყვეტ განათლებაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ინტეგრირებული პროგრამების დანერგვის როლი საშუალო საფეხურზე. ეს გახლავთ საშუალო პროფესიული განათლება, რაც გულისხმობს ცხრა კლასის ბაზაზე საბაზო განათლების შემდგომ ისეთი დიპლომის მიღებას, რომელიც გათანაბრებულია საშუალო განათლების დიპლომთან. ჩვენი მოქალაქეებისთვის ეს არის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად, რაც თანამედროვე მოზარდებს ძალიან აკლიათ. ისინი სწორედ ამას ეძებენ უმაღლეს განათლებაში და ამის იქ ვერაღმოჩენის გამო, როგორც წესი, პროფესიულ განათლებაში მოდიან. თანამედროვე ახალგაზრდას სჭირდება პრაგმატული, კონკრეტული, პრაქტიკული შეთავაზება. ამიტომაც იზრდება წლიდან წლამდე პროფესიული განათლების მიმზიდველობა.

ამ მიმზიდველობის გაზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებამ, რაც ჩვენ შარშან პარლამენტთან თანამშრომლობით მოვახერხეთ. 2020 წელს ჩარიცხულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ, სასურველ პროგრამაზე სწავლა დაესრულებინათ, კონკრეტული საქმის სპეციალისტებად ჩამოყალიბებულიყვნენ, მიეღოთ შესაბამისი კვალიფიკაცია და ამის შემდეგ დაეწყოთ სავალდებულო სამხედრო სამსახური. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეამცირა პროფესიული განათლების სისტემიდან სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი.

ხშირად მითქვამს, რომ ლოზუნგი „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“ დავიწროვებულად წარმოაჩენს მის როლს. პროფესიული განათლება არა მხოლოდ დასაქმებისთვისაა, არამედ წარმატებისთვის. მას დიდი პოტენციალი აქვს მეწარმეობის თვალსაზრისით. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულები ხშირად გვევლინებიან მეწარმეებად, მიკრო და მცირე ბიზნესის წამომწყებებად.

ჩვენი პატარა ქვეყანა სწორედ მცირე მეწარმეობაზე, ახალ თანამედროვე ტექნოლოგიურ სტარტაპებზე დგას. ბევრმა პროექტმა აჩვენა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ უზარმაზარი სამეწარმეო ინოვაციური და კრეატიული პოტენციალი. ჩვენი რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სამეწარმეო განათლების განვითარება, ასევე, მოქალაქეებში ზოგადად საკვანძო კომპეტენციების განვითარება.

პროფესიული განათლება არ არის მხოლოდ ტექნიკური უნარების გამომუშავება. ეს არის პიროვნებად ჩამოყალიბების გზა. სწორედ თანამედროვე შეშლილ სამყაროში, სადაც პანდემიის მსხვერპლი ვართ ყველა, ფსიქო-სოციალური მდგრადობა და პიროვნების სიჯანსაღე გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სახელმწიფოებრიობის მდგრადობისათვის.

ჩვენი ყველა პროგრამის სავალდებულო შემადგენელი ნაწილია ზოგადი კომპეტენციების ბლოკი, რომელიც სწორედ იმაზე მუშაობს, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები იყვნენ ფეხზე დამდგარი პიროვნებები, რომლებიც მზად არიან, გაუმკლავდნენ გამოწვევებს, პრობლემებს და ინოვაციურად მიუდგნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს, იყვნენ ორიენტირებულები განვითარებაზე, იქცნენ თანამედროვე მოქალაქეებად დემოკრატიული ფასეულობებით და გამართული ღირებულებებით.

პროფესიულ განათლებას უნდა შევხედოთ, როგორც პიროვნული განვითარების შესაძლებლობას, სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობას, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას და მხოლოდ ამის შემდეგ – როგორც ეკონომიკური თვითრეალიზაციისა და კარიერული წარმატების არაჩვეულებრივ გზას.

ახალი ხედვით, ჩვენ პროფესიულ განათლებას ვაპოზიციონირებთ, როგორც კარიერული განვითარების გზას. მე დღეს მინისტრის მოადგილის საპასუხისმგებლო თანამდებობას ვიკავებ, მაგრამ ჩემი განათლება პოფესიული სასწავლებლიდან იწყება. სწორედ სასწავლებელმა შემასწავლა შრომისა და ჯგუფური მუშაობის ფასი, 15 წლის ასაკში თავი მაგრძნობინა ღირსეულ, სრულფასოვან ადამიანად

და სტუდენტად. დიახ, მე ტელემედია ხელოვნების კოლეჯში ვსწავლობდი. ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც მერე დაშენდა ჩემი პროფესიული კომპეტენციები, პროფესიულმა განათლებამ მომცა. ამიტომ მჯერა მისი და მინდა, ჩემი ადამიანური რესურსი ამ საქმეს მოვახმარო.

პროფესიული განათლების რეფორმის წინა სტრატეგიამ 2013-2020 წლები დაფარა. ახალი სტრატეგია რას მოიცავს?

– წინა სტრატეგიამ პროფესიული განათლების სისტემის ფუნდამენტი შექმნა, როგორიც არის მარეგულირებელი ჩარჩო, კვალიფიკაციების სისტემა, კოლეჯების ინფრასტრუქტურის განვითარება, ქსელის განვითარება, სტუდენტების ჩარიცხვისა და დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა და სხვ.

შემდგომი ეტაპი მიზნად ისახავს ნახტომს განვითარებაში. ჩვენ ვიაზრებთ, რომ მსოფლიო აჩქარდა, მისი დინამიკა ტექნოლოგიებმა ააჩქარეს და იმ ტემპით სიარული, რომლითაც აქამდე ვიარეთ, სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს.

ახალ ეტაპზე იმდენად მოქნილები და კრეატიულები უნდა ვიყოთ და ისეთი მიზნები უნდა დავისახოთ, რაც ნახტომს გაგვაკეთებინებს, დაგვაწევს ეკონომიკის განვითარების ტემპს. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ ძალიან ამბიციური ამოცანები და სტრატეგია, რომელსაც სამი ძირითადი მიმართულება ექნება. სამივე სხვადასხვა აქტორის თვალით არის დანახული.

პირველი სტრატეგიული მიმართულება აგებულია იმაზე, თუ რა სჭირდება თანამედროვე სტუდენტს. სტუდენტს უნდა შევუქმნათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემო და სერვისები. ის უნდა ქმნიდეს მთლიანობაში სტუდენტისთვის კომფორტს და უნდა ემყარებოდეს სტუდენტის მიერ მხოლოდ პოზიტიური გამოცდილების შეძენას. ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ თანამედროვე მოქალაქისათვის/სტუდენტისთვის ისეთი სერვისების პაკეტი, რომელიც მის განვითარებას სჭირდება ასაკის, მოწყვლადობის, ეთნიკური თავისებურების და ა.შ. გათვალისწინებით.

მეორე ამოცანა ფოკუსიებულია პროფესიულ კოლეჯზე, როგორც მთავარ მიმწოდებელზე. იმისათვის, რომ სტუდენტმა ხარისხიანი განათლება მიიღოს, საჭიროა, სისტემის ცენტრში იდგეს ძლიერი პროვაიდერი, ძლიერი კოლეჯი, რომელიც თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ახალი ავტორიზაციის სტანდარტის თანახმად, საერთაშორისო გამოწვევების საპასუხოდ.

კოლეჯი უნდა იყოს ძალიან დინამიკური, თანამედროვე, მუდმივად ორიენტირებული განვითარებეაზე და ამას უნდა აკეთებდეს კერძო სექტორთან ერთად, ანუ ლოკალური პარტნიორები საქვეყნო მიზნებისთვის. აუცილებელია ხარისხის კულტურის შექმნა, მასწავლებლის, როგორც ძლიერი პრაქტიკოსი მენტორის და სტუდენტის მხარდამჭერის განვითარება – ეს ყველაფერი მოიაზრება მეორე მიზანში.

მესამე მიზანი არის მოქნილი მართვისა და განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ფოკუსირებულია პროცესების აჩქარებასა და განვითარების აქსელერაციაზე. ასეთად გვესახება საჯარო-კერძო პარტნიორობა. მესამე ამოცანა, თავიდან ბოლომდე, სააგენტოს იდეისა და კონცეფციის განვითარებას ისახავს მიზნად.

სამივე მთავარ ამოცანაში გამჭოლ ცნებებად გვესახება დიგიტალიზაცია, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირება და ინკლუზიურობა. ინკლუზიურობა არის ის მიმართულება, რომელიც ჩვენ წარმატებით დავნერგეთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირებთან მიმართებით, უზრუნველვყავით მათი ინტეგრაცია სისტემაში. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, ინკლუზიურობას უფრო ფართო გაგებით განვიხილავთ, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ყველასათვის გახსნილი სისტემის შექმნის კუთხით.

ამასვე ვიტყოდი პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციაზე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც ხარისხის განვითარების საშუალებას. ჩვენ მეტად უნდა გავეხსნათ მსოფლიოს და ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია. ჩვენც გვაქვს ჩვენი გასაზიარებელი გამოცდილება.

თქვენი აზრით, რა ფილოსოფიაზე დგას პროფესიული განათლება?

– ზოგადად, პიროვნული ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდანვე იწყება, მოზარდები ეძებენ საკუთარ ადგილს, ხშირად დიდ ენერგიას ხარჯავენ ამ ძიებაში. მნიშვნელოვანია, ამ გზაზე გაიაზრონ, რომ მხოლოდ კი არ უნდა მოითხოვონ, არამედ გაცემაც ისწავლონ. რაც უფრო ადრე გაითავისებ იმას, რომ სარგებელი უნდა მოუტანო საზოგადოებას, მით უკეთეს და ძლიერ პროფესიონალად ჩამოყალიბდები. ჯანსაღი ღირებულებების ადამიანმა იცის – ამ ქვეყანას იმიტომ მოევლინა, რომ რაღაც დატოვოს, რეალური სარგებელი მოუტანოს სამყაროს თავისი ხელებით და გონებით. სწორედ ამას სწავლობს პროფესიის დაუფლებისას და აქედან მოდის პროფესიული ღირსების განცდაც, როცა ამაყი ხარ, რომ პროფესიას დაეუფლე და მნიშვნელოვანი გახდი საზოგადოების განვითარებისთვის. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს პროფესიული ღირსების განცდის შესაძლებლობა, რომ თავი იგრძნოს სრულფასოვან მოქალაქედ. ამ ფილოსოფიაზე დგას პროფესიული განათლება და ჩვენც სწორედ ამ საყრდენზე უნდა განვავითაროთ ჩვენი რეფორმა.

ზოგადი განათლების ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ სტუმარი,
განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების
დეპარტამენტის უფროსი, თამარ სამხარაძეა.

შორენა ტყეშელაშვილი

სულ ცოტა ხნის წინ ისტორიული ამბავი მოხდა პროფესიულ განათლებაში. საგანმანათლებლო ჩიხი, რომელიც წლების მანძილზე არსებობდა პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის, აღმოფხვრილია. უკეთესად რომ განვმარტოთ: ის პირები, რომლებიც 9 კლასის შემდეგ სწავლის გაგრძელებას პროფესიულ სასწავლებელში გადაწყვეტდნენ, ვეღარ ახერხებდნენ სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში. ახლა ეს შესაძლებლობა გახსნილია და პროფესიული კოლეჯის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია აიღოს როგორც ატესტატი, ასევე პროფესიული სასწავლებლის დამამთავრებელი დიპლომი. როგორ გაიარეთ ეს რთული, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გზა?

– ეს შესაძლებლობა ქვეყანაში თითქმის 17 წელი არ არსებობდა. 2007 წელს, როცა პარლამენტმა მიიღო კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მოხდა სრული შინაარსობრივი და ინსტიტუციური გამიჯვნა პროფესიული განათლებისაგან ზოგადი განათლებისა. ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო მთავრობის ანტიკორუფციული გეგმით და მაშინვე დაანონსებული იყო, რომ ანტიკორუფციული გეგმის განხორციელების შემდეგ სამინისტრო დაგეგმავდა რეფორმის იმ ნაწილს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპს დაეფუძნებოდა. 2010 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო პირველი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და ამ ჩარჩოში სამი ქვესისტემა გამოიკვეთა: სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ქვესისტემა ზოგადი განათლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების სახით. კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში განათლების ქვესისტემებს შორის კავშირები არ არსებობდა, რაც იმას ცხადყოფდა, რომ რეფორმის ამ ეტაპზეც განათლების საფეხურებს შორის კავშირის გაძლიერება არ იდგა დღის წესრიგში. მოგვიანებით, 2013 წელს დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლებისათვის და ამ სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრა, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტებისთვის განათლების შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად. როცა ვსაუბრობთ განათლების საფეხურებს შორის კავშირების გაძლიერებაზე, ამაში იგულისხმება პროფესიული განათლების დაკავშირება და ინტეგრირება როგორც ზოგად განათლებასთან, ასევე უმაღლეს განათლებასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. სწორედ ჩიხური მდგომარეობა, რაც წლების განმავლობაში სისტემაში არსებობდა, დიდწილად განაპირობებდა იმას, რომ პროფესიული განათლება არ იყო მიმზიდველი არჩევანი ახალგაზრდებისთვის. განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სავალდებულო საბაზო განათლების საფეხურზე არჩევანის წინაშე იდგნენ – წასულიყვნენ კოლეჯში პროფესიის შესასწავლად თუ სწავლა გაეგრძელებინათ სკოლის საშუალო საფეხურზე. 15-16 წელი ის ასაკი არ არის, როდესაც მოზარდები და მათი მშობლები ასეთი ხისტი არჩევანის წინაშე უნდა დავაყენოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების კურსს ვერ ვთავაზობთ, ეს კი ერთგვარი ბარიერია ახალგაზრდისთვის, რომელსაც პროფესიული განათლების შემდეგ უმაღლესი განათლების მიღების სურვილი აქვს. სწორედ ამ ბარიერის გამო 15-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტთა რაოდენობა კრიტიკულად მცირე იყო პროფესიულ განათლებაში და ძირითად კონტინგენტს 20 წლის ზევით ახალგაზრდები წარმოადგენდნენ.

2014 წელს ჩვენმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის შესაბამისადაც დაიწყო კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს განვითარება – ევროპული ჩარჩოს შესაბამისად. ჩარჩოს ძირითადი ცვლილებები სწორედ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის რეალიზებას და განათლების ქვესისტემების ურთიერთდაკავშირებას გულისხმობდა. რეფორმის ამ ეტაპზე ჩვენ მივიღეთ დიდი მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირების მიმართულებით ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია გაეროს განვითარების პროგრამამ.

ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება პროფესიულ განათლებაში ნიშნავს ერთგვარი „სკოლის“ მოდელის გადმოტანას პროფესიულ სასწავლებელში. რა გამოწვევები ახლავს განათლების ამ ორი საფეხურის შერწყმას?

– 2016 წლიდან დავიწყეთ მიდგომის/კონცეფციის დამუშავება, როგორ იქნებოდა შესაძლებელი ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის ინტეგრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. სამუშაო პროცესში, პროფესიული განათლების სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად ჩაერთო ეროვნული სასწავლო გეგმების გუნდი. პირველ ეტაპზე დამუშავდა კონცეფცია, მომზადდა საპილოტე პროექტი, და აქაც ერთგვარი დილემის წინაშე ვიდექით, რადგან 2014 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ვნერგავდით მოდულურ პროგრამებს. ჩვენი პროგრამები აღარ იყო საგნობრივი, საგნებზე დაფუძნებული, ზოგადი განათლების კურიკულუმი კი საგნობრივ სტანდარტებს ეფუძნება. ამდენად მიდგომის დამუშავების პროცესში ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო არც ზოგად და არც პროფესიულ განათლებაში დადგენილი პრინციპები. საბოლოოდ, ინტეგრირების პროცესში ჩვენ შევინარჩუნეთ პროფესიული განათლების სპეციფიკა – მოდულური, კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და საშუალო საფეხურის სასწავლო გეგმის ანალიზისა და შერწყმის შედეგად, ჩამოყალიბდა „ინტეგრირებული ზოგადი მოდულები“. ამ მოდულებმა 2017-2019 წლებში გაიარა პილოტირება სამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქვეყნის მასშტაბით. პილოტირების შედეგების გათვალისწინებით მოხდა მოდულების გადამუშავება და დამტკიცება მინისტრის ბრძანებით 2019 წელს. აღსანიშნავია, რომ მოდულების მომზადებასთან ერთად შეიქმნა ასევე მასწავლებელთა სარეკომენდაციო გზამკვლევები, სწავლების პროცესში დახმარების მიზნით. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების დამტკიცების შემდეგ დაიწყო მათი დანერგვის პროცესი. აღსანიშნავია, რომ დანერგვის პროცესი დაემთხვა პანდემიის გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად, დანერგვის პირველივე წელს მოხერხდა 500-მდე ვაკანტური ადგილის შექმნა ე.წ. ინტეგრირებულ პროგრამებზე და სისტემამ მიიღო პირველი სტუდენტები. სწავლის პროცესი 3 წელი გაგრძელდება და დასრულდება ზოგადი განათლების

ატესტატთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით. სამწუხაროდ, პანდემიის პირობებში ბევრი სირთულე შეიქმნა და გარკვეული შეფერხებები არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების მიმართ დიდია მოთხოვნა და სისტემა დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით მუშაობს მასშტაბის ზრდის გეგმაზე. კარგად ვაცნობიერებთ საკითხის მნიშვნელობას და იმას, თუ რა გავლენა შეიძლება მოჰყვეს გარკვეულ შეცდომებს. ამიტომ დავიწყეთ შედარებით მცირე მასშტაბით. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამოაცხადეს ღია კონკურსები. მასწავლებელთა კონკურსის საფუძველზე შევარჩიეთ ბევრი გამოცდილი პროფესიონალი, რომელთაც სკოლაში სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ და ასევე ჩართულები არიან ახალ ინიციატივებში, რომლებსაც სამინისტრო ზოგადი განათლების მიმართულებით ახორციელებს. ასევე გვყავს სრულიად ახალბედა მასწავლებლები, რომლებმაც საუნივერსიტეტო სივრციდან გადმოინაცვლეს კოლეჯებში და იწყებენ პროფესიულ პრაქტიკას. კონკურსის შემადგენელი ნაწილი იყო რამდენიმეეტაპიანი ტრენინიგი, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმების გუნდი უძღვებოდა. ტრენინგის ფარგლებში შეფასდა თითოეული მონაწილე და შესაბამისი რეკომენდაციები მიეწოდათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს საბოლოო გადაწყვეტილებების მისაღებად. წელს დამატებით ათასი ადგილია შეთავაზებული „ინტეგრირებულ პროგრამებზე“ სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვის და დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველა ადგილი შეივსება და ახალგაზრდები ამ შესაძლებლობას გამოიყენებენ. 25-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულებაა (კოლეჯი, უნივერსიტეტი) ამ ინიციატივაში ჩართული. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზრდება მასშტაბი და ქვეყნის ყველა რეგიონში იქნება შესაძლებელი მოზარდებისთვის ამ ტიპის პროგრამების შეთავაზება. რაც შეეხება საფასურს – ხშირად ინტერესდებიან ამ თემითაც – ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრულად აფინანსებს სწავლას სახელმწიფო. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტები ფინანსდებიან ვაუჩერით (თუმცა კერძო კოლეჯს აქვს შესაძლებლობა, რომ გარკვეული დამატებითი საფასურიც დააწესოს) სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების ფარგლებში.

რას ეტყოდით მშობლებს, თქვენი მთავარი გზავნილი რა არის მშობლებისათვის, რატომ უნდა ურჩიონ შვილებს პროფესიული განათლების მიღება? მშობლის როლი პროფესიის არჩევაში ისევ უმნიშვნელოვანესია ჩვენს საზოგადოებაში...

– წელს რეგისტრაციის დაწყების პირველივე დღეებიდან განსაკუთრებული აქტიურობაა როგორც მოზარდების, ასევე მათი მშობლების. რა თქმა უნდა, საბაზო განათლების (9 კლასი) შემდეგ, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, სრული ზოგადი განათლების მიღება პრაგმატული არჩევანია. პროფესიული განათლება არ არის უმაღლესი განათლების ალტერნატივა, თუმცა ის შეიძლება იყოს პირველი არჩევანი პროფესიული განვითარებისა და კარიერის გზაზე, რომელიც ამზადებს ახალგაზრდას შემდგომი ცხოვრებისთვის, დასაქმებისა და განათლებისთვის. პროფესიულ განათლებას შეუძლია მისცეს ახალგაზრდებს ძალიან კარგი პრაქტიკული ცოდნა, პირველი სამუშაო გამოცდილება, მოამზადოს ისინი შემდგომი განათლების მისაღებად. საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ პროფესიული განათლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასული სტუდენტების შემთხვევაში პროფესიული არჩევანი უფრო მეტად გაცნობიერებული და მიზანდასახულია, მზაობა სწავლისთვის გაცილებით მაღალია, ვიდრე პირდაპირ სკოლიდან წასული ახალგაზრდებისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიის შეცვლა, რამდენიმე პროფესიით მუშაობა, ჰობი-პროფესია სულ უფრო აქტუალურია მთელ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაშიც. მუდმივად ცვალებად სამყაროში პროფესიის შეცვლა სრულიად ნორმალურია. ამიტომ ძალიან მტკივნეულად არ უნდა შევხედოთ ჩვენი შვილების პროფესიულ არჩევანს და შემდგომ ამ არჩევანის ცვლილებას. მთავარია, რომ თავად განათლების სფერო იყოს ახალგაზრდების მხარდამჭერი, მათი საჭიროებებისა და მოლოდინების შესაბამისი, არ იყოს ჩიხური, არ ქმნიდეს ბარიერებს. ამ თვალსაზრისით, მთელ მსოფლიოში გაზრდილია მოთხოვნები პროფესიული განათლების მიმართ (ისევე როგორც განათლების სხვა საფეხურების მიმართ) და კონკრეტული დარგობრივი უნარების განვითარებასთან ერთად, მის ამოცანას წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის იმ ტიპის საკვანძო უნარების განვითარება, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ სწრაფ ადაპტაციას შეცვლილ გარემოში, ექნებათ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები, უკეთესად გაართმევენ თავს ცხოვრებისეულ თუ პროფესიულ სირთულეებს. პანდემიამ კარგად გამოვლინა ამ ტიპის უნარების ფლობის აუცილებლობა და მნიშვნელობა. რაც შეეხება ტექნიკურ უნარებს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტული სამუშაოს შესრულებას ეხება საქმე, თუმცა თანაბრად

მნიშვნელოვანია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაც.

საბოლოო ჯამში, მთავარია, რომ საგანმანათლებლო სისტემა იყოს ძალიან მოქნილი და ღია სხვადასხვა სახის საჭიროებებისადმი. პროფესიულ განათლებაში ეტაპობრივად მივაღწიეთ დიფერენცირებულ პროგრამებს – არსებობს შედარებით ხანგრძლივი და კომპლექსური კურსები, რომლებიც უფრო მეტად ახალგაზრდების საჭიროებებზეა ორიენტირებული, მაგრამ ამავდროულად არსებობს მოკლევადიანი, რამდენიმეთვიანი კურსები ზრდასრულებისთვის, რომელთაც სურთ, სწრაფად განივითარონ ცალკეული უნარები და კომპეტენციები. რეფორმის შემდგომი ეტაპი კიდევ უფრო მეტად იქნება ფოკუსირებული სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებაზე.

მთავარ გამოწვევებზე გვითხარით. რა არის ის გეგმები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავთ უახლოეს მომავალში?

– ჩვენ, ერთი მხრივ, ვმუშაობთ პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების ინტეგრაციაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, არანაკლები ძალისხმევით ვმუშაობთ სკოლებში პროფესიული განათლების ინტეგრაციაზე და უშუალოდ სასკოლო სივრცეში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნაზე. 2017 წლიდან ვახორციელებთ სკოლის მოსწავლეებისათვის პროფესიული უნარების განვითარების პროგრამას, რომელშიც საქართველოს მასშტაბით 500-მდე სკოლა უკვე ჩართულია. ეს პროგრამა კოლეჯებისა და სკოლების ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება და დადებითი შედეგები უკვე სახეზეა. საბაზო განათლების საფეხურზე მას უფრო მეტად პროფესიული ორიენტაციის დატვირთვა აქვს და საბაზისო დონეზე პროფესიული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს. საშუალო საფეხურზე პროფესიული მომზადების კურსებია შეთავაზებული, რაც ამ ეტაპზე არაფორმალური განათლების ნაწილია, თუმცა არაერთი სკოლა უკვე მზად არის, რომ შემდგომ ეტაპზე გადავიდეს და მოსწავლეებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესთავაზოს. ამ მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერა, გაეროს განვითარების პროგრამის, ასევე აზიის განვითარების ბანკის მხრიდან. სკოლის სივრცეში პროფესიული განათლების მიწოდება და სკოლის დასრულების მომენტისთვის პროფესიის ფლობა კარგად აპრობირებული პრაქტიკაა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ასეთ დროს კურსდამთავრებული უკვე მზად არის შრომის ბაზრისთვისაც – მუშაობის დასაწყებად, სწავლის გასაგრძელებლადაც და ცხოვრებისეულ სირთულეებთან გასამკლავებლადაც. ის სკოლაშივე ეჩვევა შრომის კულტურას, შრომის უსაფრთხოებას და შრომის სამყაროს, ზოგადად. ასეთი ტიპის სერვისები ძალიან კარგ როლს თამაშობს და დადებითად აისახება მოზარდების განვითარებაზე. როდესაც ჩვენ ვაკვირდებოდით პროფესიული კურსების მიმდინარეობას სკოლებში, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ამ კურსებში ჩართვის შემდეგ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები იმ სასკოლო საგნებში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული იყო კურსებთან. მოსწავლეები კი აღნიშნავდნენ, რომ გაიზარდა სწავლის მიმართ მათი მოტივაცია და მონდომება, დაფიქრდნენ პროფესიულ არჩევანზე, ბიზნესზე, შეძენილი პროფესიული უნარები წარმატებით გამოიყენეს საოჯახო საქმიანობისას და სხვ. რაც მთავარია, მოსწავლეებმა ცხადად დაინახეს მიღებული ცოდნის პრაქტიკული დანიშნულება, პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის, შეძლეს ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის და სხვა მნიშვნელოვანი საგნების დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან. უნდა აღინიშნოს თავად მშობლების მოტივაცია და განწყობები ამ პროგრამის მიმართ, როგორც შვილების, ასევე საკუთარი განვითარების და თვითრეალიზაციის მიზნით. არაერთმა მათგანმა მიმართა კოლეჯს სასურველი პროფესიის შესასწავლად. განსაკუთრებით დიდია მშობელთა დაინტერესება რეგიონებში, ითხოვენ საღამოს კურსებს, შაბათ-კვირის კურსებს და მათ ეს შესაძლებლობა აუცილებლად ექნებათ.

„მჯერა, რომ ბიზნესის ჩართულობით ცვლილებები პროფესიულ განათლებაში შესაძლებელია“

ირმა კახურაძვილი

დღეს ბევრს საუბრობენ პროფესიული განათლების სისტემის მართვის ახალ მოდელზე, რომელიც სახელმწიფო უწყებებთან, ბიზნეს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ინერგება და რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც პროფესიული უნარების სააგენტო წარმოადგენს.

პროფესიული უნარების სააგენტოს მთავარი დამფუძნებლები – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სავაჭრო-სამრეწველო პალატა – იმედოვნებენ, რომ ერთობლივად შეძლებენ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დანერგვას და ხელშეწყობას, კონკურენციის გაუმჯობესებასა და ინოვაციური სწავლების მხარდაჭერას.

პროფესიული უნარების სააგენტოს მიზნებსა თუ საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს, გიორგი პერტაიას ვესაუბრეთ.

სავაჭრო-სამრეწველო პალატა ქვეყნის ყველაზე მსხვილი ბიზნესგაერთიანებაა, რომლის მთავარი მიზანიც ბიზნესის მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა. რა გამოსავალს ხედავს ბიზნესი პანდემიაში დასუსტებული ეკონომიკის აღსადგენად და რა როლი აქვს ამაში პროფესიულ განათლებას?

– პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ბიზნესს და არა მხოლოდ საქართველოში. თუმცა სავაჭრო-სამრეწველო პალატა აგრძელებს ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა და პროექტების განხორციელებას, კერძო სექტორის ინტერესების დაცვასა და განვითარებას.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, ის ბიზნესთან პირდაპირ კავშირშია, რადგან კერძო სექტორია დამკვეთი პროფესიული უნარების კუთხით.

რამდენიმე წლის წინ, როცა ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს ვხელმძღვანელობდი და სააგენტოს მიზანი ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა იყო, მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან მიწევდა შეხვედრა. გარდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, მათ ყოველთვის აინტერესებდათ, როგორი სამუშო ძალა გვყავდა.

მაგალითად, ისეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა და ბელორუსია, დღეს საკმაოდ ბევრი აიტი-სპეციალისტი ჰყავთ. ინვესტორებსაც ყოველთვის კონკრეტული მიმართულებები აინტერესებთ.

შეიძლება ქვეყანა დაბალი გადასახადებით და პოლიტიკური სტაბილურობით გამოირჩეოდეს, მაგრამ თუ ასეთი სპეციალისტები არ გვეყოლება, ინვესტორს ვერ დავაინტერესებთ, რადგან თავისი სპეციალისტების ჩამოყვანა მას ძვირი უჯდება.

პროფესიული განათლება მომავალ სპეციალისტებს უნდა მიეწოდებოდეს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვსაუბრობთ იურისტებსა და ეკონომისტებზე, არამედ პროფესიულ კურსდამთავრებულზე. მსგავსი კადრების მიმწოდებელი ცოტა გვყავს და გვაქვს დიდი აცდენა მიწოდება-მოთხოვნას შორის.

თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ამ პრობლემის სწრაფად მოგვარება და ისეთი სისტემის გამართვა, რომელიც მიწოდება-მოთხოვნას დააბალანსებს?

– ჩემი აზრით, თუ დამსაქმებელმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული აიყვანა, მაქსიმუმ მას მცირედი ტრენინგი უნდა ჩაუტაროს. დამსაქმებელს საქმე უნდა ჰქონდეს გამზადებულ კადრთან, მაგრამ რეალობა სხვაა.

დამსაქმებელს, საიდანაც არ უნდა აიყვანოს კადრი, მაინც ნულიდან უწევს მისი სწავლება. მაგალითად, თუ დღეს რომელიმე ქარხანას შემდუღებელი სჭირდება, მას აჰყავს ახალგაზრდა სპეციალისტი და თავიდან ასწავლის ქარხანაში მუშაობას. ამაში კი დროს, ენერგიას და ფულს ხარჯავს.

ეს პრობლემა საქართველოში მას მერე არსებობს, რაც ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა. ცხადია, წარმატებული შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც კომპანია თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად იწყებს სხვა ბიზნეს რათა უზრუნველყოს თავისი ძირითადი საქმიანობა საჭირო წარმოების ფაქტორებით, ეს არ არის ეფექტიანი. თუმცა საერთო სურათი მაინც აცდენას გვიჩვენებს. ზოგიერთ მსხვილ კომპანიას, იმის ნაცვლად, რომ პროფესიული დაწესებულების კურსდამთავრებულს ასაქმებდეს, ხელიც კი აქვს ჩაქნეული და თვითონ ცდილობს პროფესიული სასწავლებლის შექმნას.

მაგრამ დიდ საწარმოებს ხომ აქვთ ტრენინგ-ცენტრები, ისინი ხომ სწავლებას ემსახურებიან?

– აქვთ, მაგრამ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი ტრენინგ-კურსების სასწავლებლებში გადატანას. მე ჩიკაგოსთან ახლოს, ილინოისში ვსწავლობდი, სადაც ჯონ დიერის – ტრაქტორების დიდი ქარხანა იყო. ბოლო კურსზე რომ გადავედით, ჩვენთან ამ ქარხნის წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა: თუ სათავო ოფისში გადავწყვეტდით დასაქმებას, უნივერსიტეტში მათი კურსები არსებობდა და ის უნდა გაგვევლო. კომპანია თავად აფინანსებდა ამ კურსებს და თავისი პროფესორებიც ჰყავდა. ანუ ის, რაც ქარხანაში ტრენინგებზე უნდა გვესწავლა, კომპანიამ უნივერსიტეტში გადმოიტანა. თუ ამ კურსებს გავივლიდით, ვაკანსიების გამოცხადების დროს სხვებთან შედარებით მცირედი პრივილეგიებიც გვექნებოდა.

ეს არის კერძო საჯარო თანამშრომლობის კარგი მაგალითი.

საქართველოში წლების განმავლობაში იგნორირებული იყო ის ფაქტი, რომ ამ პროცესის მთავარი კლიენტი ბიზნესია და არა მთავრობა ან პროფესიული სასწავლებელი. ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა.

მოთხოვნა ყოველთვის ბიზნესიდან მოდის. ამ მოთხოვნას თავისი ვალიდაცია აქვს. ვთქვათ, ბიზნესს დღეს ისეთი აიტი-სპეციალისტი სჭირდება, რომელიც ორი წლის შემდეგ სხვანაირი იქნება, რადგან ტექნოლოგია იცვლება.

ვფიქრობ, ბიზნესისადმი ნდობა აუცილებლად უნდა აღდგეს. სხვანაირად არ გამოვა.

აქვს თუ არა სავაჭრო-სამრეწველო პალატას პროფესიული განათლების მიმართ რაიმე სტრატეგია?

– პლატფორმა, რომელიც უნარების სააგენტოს სახით შეიქმნა, ვიმედოვნებ, რომ მოკლე ვადებში უპასუხებს კერძო სექტორის მოთხოვნებს. პროფესიული უნარების სააგენტომ განვითარების ახალი შესაძლებლობები უნდა შექმნას.

ჩვენ ბიზნესმენები ვართ და არ ვართ დაინტერესებული ბიუროკრატიის შექმნით. გვინდა, რომ მიწოდება-მოთხოვნის მოქნილი სისტემა არსებობდეს.

კარგი ის არის, რომ პლატფორმის მიზნებიდან გამომდინარე, ბიზნესი ამ პროცესში ჩართულია, როგორც თანამონაწილე და არა როგორც დამკვირვებელი.

ამ შემთხვევაში, სავაჭრო პალატა ბიზნესს წარმოვადგენთ და ეს დიდი პასუხისმგებლობაა იმიტომ, რომ ბიზნესმენები პრაქტიკული ადამიანები არიან და მათი დაინტერესება მხოლოდ დოკუმენტებით და პრეზენტაციებით შეუძლებელია. ბიზნესმენს აინტერესებს შედეგი. ჩვენ გვჭირდება სწრაფი გამარჯვებები. სავაჭრო-სამრეწველო პალატას ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ფართო რეგიონული წარმომადგენლობა აქვს. საქართველო პატარა ქვეყანაა და კარგი ამბები, გამარჯვებებს ვგულისხმობ, მალე ვრცელდება და სხვა მეწარმეებისთვისაც შეიძლება სამაგალითო გახდეს.

არსებობს ბევრნაირი ხედვა, თუ რას უნდა აკეთებდეს უნარების სააგენტო, მაგრამ ჩვენთვის, ბიზნესმენებისთვის, ეს სააგენტო არის რაც შეიძლება მოკლე დროში მოთხოვნა-მიწოდების დამბალანსებელი.

ადრე ძალიან რთული სისტემა იყო – ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა სასწავლო პროგრამების შექმნას, დამტკიცებას, დანერგვას, ტრენინგების ჩატარებას. ვიდრე ეს ყველაფერი ერთი პროფესიის მიმართულებით გაკეთდებოდა და ყველა საფეხურს გაივლიდა, ბაზარზე უკვე სხვა მოთხოვნები ჩნდებოდა.

და კიდევ, პროფესიული სასწავლებლებიც ხომ ხშირად კერძო ბიზნესს წარმოადგენენ. კონკურენციის პირობებში ბევრი კარგი კოლეჯი გაიხსნა. ნელ-ნელა ისინი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა ჩაენაცვლონ, რაც ბუნებრივი პროცესია. კერძო კოლეჯები ბიზნესს უფრო სწრაფად გაუგებენ და აეწყობიან.

ადრე პროფესიულ განათლებას, როგორც ბიზნესს, არავინ უყურებდა, მაგრამ კერძო სასწავლო დაწესებულებები ჩვეულებრივი ბიზნესია, რომელიც მოგებას იღებს. ამ შემთხვევაში, ბიუროკრატიასაც ნაკლებად ვაწყდებით და შედეგზე სწრაფად გავდივართ.

როგორ უნდა გაიზარდოს პროფესიული განათლების პრესტიჟი?

რატომღაც, მეორეხარისხოვნად პროფესიულ განათლებას ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტად საქართველოში მიიჩნევდნენ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ის უფრო ფასობდა. ალბათ მენტალიტეტის გამო, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა ეს სტერეოტიპი შეცვლილია.

მაგალითად, 15 წლის წინ აბიტურიენტს რომ ეთქვა, მზარეულობა მინდაო, მისი მშობლები ძალიან იდარდებდნენ, რადგან ამ პროფესიას არაპრესტიჟულად ჩათვლიდნენ. წელს კი შეფმზარეულობამ ახალგაზრდებში დიდი პოპულარობა მოიპოვა, რაც პროფესიის პოპულარიზაციის დამსახურებაა, სატელევიზიო შოუების ხელშეწყობითა თუ ტურიზმში გაჩენილი მოთხოვნის შესაბამისად. სტუმარ-მასპინძლობის ბიზნესში, სასტუმროებსა თუ რესტორნებში კარგი შეფმზარეული „ადამიანი ბრენდია“.

მაგალითად, მიმტანის პოზიცია ისეთ ადგილზე, როგორიც „სტამბაა“, ახალგაზრდებში წარმატებულად ითვლება, ანდა გიდის პროფესია, რომელიც ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს.

პროფესიულ განათლებას შეუძლია და უნდა გახდეს პრესტიჟული. თუ ასეთი სწავლება პრესტიჟული გახდება, ახალგაზრდებს და არა მხოლოდ მათ მიიზიდავს. მნიშვნელოვანია, როგორ მივაწვდით ამის შესახებ ინფორმაციას. დღეს ახალგაზრდებს სხვა პრიორიტეტები აქვთ, პროფესიებისადმი სხვანაირი მიდგომა და მათთან კომუნიკაციაც თანამედროვე მეთოდებს უნდა ეფუძნებოდეს.

ერთხელ ჩემმა ერთ-ერთმა ჯგუფელმა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი, თქვა, შემდეგ ბლის კურსის აღება მინდაო. გამიკვირდა. მას ხომ უნივერსიტეტის დიპლომი ჰქონდა. თურმე რკინის დამუშავებით ყოფილა გატაცებული და მოკლევადიანი კურსებით ცოდნის გაღრმავება გადაწყვიტა. ჩვენთანაც რაც მეტი შესაძლებლობა იქნება მოკლევადიანი კურსებით ცოდნის გაღრმავების, უფრო მეტად დაინტერესდება ბიზნესი. თუ რაიმე გაინტერესებს, ცოდნის მიღების ყველა საშუალება უნდა გქონდეს. სწორედ აქ ჩნდება პროფესიული განათლების როლი.

რას უსურვებდით პროფესიული განათლებით დაინტერესებულ სტუდენტებს, კოლეჯებსა და ბიზნესს?

სტუდენტებს ვუსურვებდი ცხოვრებისეული ცვლილებებისთვის მზადყოფნას. ამისათვის ძალიან კარგია ასეთი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება, რადგან მოკლე დროში შეგიძლია შეცვალო შენი ცოდნა და გახდე ბაზარზე მოთხოვნადი. ცხოვრება ისეთი რამეა, რთულია, ის გზა გაიარო, რაც თავდაპირველად დაგეგმე. სწორედ ამით არის ის საინტერესო. შეიძლება ერთ პროფესიას დიდხანს სწავლობდე, მაგრამ უცბად მასზე მოთხოვნა დასრულდეს. ამან არ უნდა დაგთრგუნოს და გაფიქრებინოს, რომ ყველაფერი ჩამოგეშალა.

მაგალითად, თარჯიმნის მოთხოვნადი პროფესია, ტექნოლოგიების განვითარების ხარჯზე, 5-6 წელიწადში არამოთხოვნადი გახდება, მაგრამ ეს თარჯიმანს განვითარების ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს. არც იმას ვამბობ, რომ უმაღლეს განათლებაზე უნდა ვთქვათ უარი. პირიქით, უმაღლესი განათლება კარგია, იქ უფრო მაკროდონეზე გასწავლიან, მაგრამ პროფესიულში შეგიძლია დაეუფლო ისეთ ხელობებს, რომლებიც ყველგან, შინ და გარეთ გამოგადგება.

ბიზნესს ვუსურვებდი, ამ პროცესების მიმართ ნდობა დაბრუნებოდა – მოთხოვნის შესწავლა, კურიკულუმის გაკეთება, სტუდენტის მომზადება და აყვანა. მხოლოდ ბიზნესმა იცის, თუ როგორი სტუდენტი დასჭირდება რამდენიმე წლის მერე. მჯერა, რომ ბიზნესის ჩართულობით პროფესიულ განათლებაში ცვლილებები შესაძლებელია.

რაც შეეხება კოლეჯებს, ისინი სერვისის გამყიდველები არიან და არ უნდა მოადუნონ ყურადღება ბაზრის მოთხოვნების მიმართ. უნდა გააცნობიერონ, რომ თუ სერვისის გაყიდვა უნდათ, კლიენტი ბედნიერი უნდა იყოს და კლიენტი რომ ბედნიერი იყოს, ამისათვის უნდა შეისწავლონ, რა სჭირდება კლიენტს, რომელია უახლოეს წლებში ყველაზე აქტუალური პროფესიული სფეროები.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია პროფესიული განათლების მხარდამჭერია

ნინო ზამბახიძე

ნინო ზამბახიძე,
საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი 20 წელიწადზე მეტი სრულ სტაგნაციაში იმყოფებოდა. თითქმის მოშლილი იყო საგანმანათლებლო სისტემაც. შედეგად, ქვეყანაში, სადაც აგრარულ მიმართულებას დიდი პოტენციალი აქვს, პროდუქციის 60%-ზე მეტი იმპორტირებულია. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფერმერთა შესაბამისი განათლებაა, რის ადვოკატირებასაც საქართველოს ფერმერთა ასოციაცია წლებია, ახდენს. ბოლო პერიოდში განათლების მიმართულებით ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა: შრომით ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნამ აგრარული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და განხორციელების საჭიროება განაპირობა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია იყო პირველი დარგობრივი ასოციაცია, რომელმაც კოორდინაცია გაუწია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური პროგრამების დანერგვას საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

განათლება იყო და კვლავაც რჩება უპირველეს გამოწვევად სოფლის მეურნეობაში. ამის საპასუხოდ, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, მისი აქტიური მოღვაწეობის პერიოდიდან მოყოლებული, მუდმივად ჩართული იყო სექტორში განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში. ჯერ კიდევ 2015 წელს ასოციაცია ეროვნულ დონეზე იღებდა მონაწილეობას პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში. კერძოდ, ჩართული იყო საქართველოს მთავრობის N279 დადგენილებით შექმნილ პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნულ პროფესიულ საბჭოში. აღნიშნულ საბჭოში მონაწილეობა, თავის მხრივ, გულისხმობდა პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფას, პროფესიული განათლების სფეროში პოლიტიკის ფორმირების პროცესში მხარეების ჩართულობას, პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს მთავრობისთვის.

ასოციაცია დღემდე არის აგრარული პროფესიული განათლების პოლიტიკის მიმდინარე პროცესების აქტიური მოთამაშე. ეროვნულ დონეზე

ვმუშაობთ პროფესიული განათლების განვითარების რეფორმის სტრატეგიაზე, სამოქმედო გეგმაზე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტებზე და ასევე, სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესზე.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2016 წლიდან დღემდე ახორციელებს პროექტს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ საქართველოს 7 რეგიონში: სამეგრელო, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა, შიდა ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. რეგიონების საჭიროებიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში ასოციაციამ, კერძო სექტორისა და სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების ჩართულობით, შეიმუშავა პროფესიული დუალური პროგრამები: მეცხოველეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, ხორც-პროდუქტების გადამუშავება, მეთევზეობა, მებაღეობა, რძის პროდუქტების გადამუშავება, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და ვეტერინარია.

ჩვენი საქმიანობა განათლების მიმართულებით ორიენტირებულია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობაზე, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერებასა და აგრარულ სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების განვითარებაზე. პროექტის პილოტირების ეტაპზე შესამჩნევია მიღწევები, თუმცა პროექტის განხორციელებისას ასევე გამოიკვეთა კერძო სექტორის როლის გაძლიერების საჭიროება. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ შვეიცარიის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე შეიმუშავა კონცეფცია, რის საფუძველზეც სექტორულ ასოციაციებთან ერთად დავაფუძნეთ დარგობრივი უნარების მაკოორდინირებელი ორგანიზაცია „აგროდუო“.

ორგანიზაციის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს აგრარული პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა, რეგიონის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

აღსანიშნავია ასევე, რომ პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ფერმერთა ასოციაციამ ჩაატარა პროფესიული სტუდენტის, ინსტრუქტორისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მოდელის მდგრადობისთვის ჩატარდა სასწავლო საწარმოების ხარჯთსარგებლიანობის კვლევაც. რაც შეეხება სასწავლო პროცესზე პანდემიის ზეგავლენას, საჭიროდ მივიჩნიეთ, ჩატარებულიყო კვლევა, თუ რა გავლენა მოახდინა Covid-19-მა სასწავლო პროცესზე.

პანდემიის შეზღუდვებიდან გამომდინარე და მისგან წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხოდ, ფერმერთა ასოციაციამ, განათლების გაციფრულების მიზნით, ევროკავშირის ახალგაზრდული ინიციატივის ფარგლებში, შეიმუშავა ელექტრონული პლატფორმა – www.agroskills.ge, რომელიც გააერთიანებს ციფრულ სასწავლო რესურსებს და უფრო ხელმისაწვდომს და მოქნილს გახდის სასწავლო რესურსებს.

ფერმერთა ასოციაციას არაერთი ინოვაციური პროექტი განუხორციელებია, რითაც ძალიან ვამაყობ. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი არის პენიტენციალურ დაწესებულებებში სასათბურე მეურნეობის მოწყობა. შემუშავებულ იქნა მებაღეობის და მეხილეობის არაფორმალური პროგრამები და კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანებს, მათ შორის ქალებს, მივეცით შესაძლებლობა, შეესწავლათ კენკროვანი კულტურებისა და ყვავილების წარმოება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიწოდების გზით.

როდესაც განათლების ხელმისაწვდომობაზე ვსაუბრობთ, ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დუალურ პროგრამებში როგორც გენდერული, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განათლების ინკლუზიური სერვისების შეთავაზება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განათლების ინკლუზიური მიდგომით შევძელით სამიზნე ჯგუფის ჩართულობა. როგორც მოგეხსენებათ, ინკლუზიური სისტემის დანერგვა შესაძლებლობას აძლევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, შეისწავლონ აგრარული პროფესიები და დასაქმდნენ სოფლის მეურნეობაში.

განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილების გაზიარება. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში განათლების ინტერნაციონალიზაცია რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდა ფერმერებს, გაიზიარონ ევროპული გამოცდილება. ამ მიმართულებით ასოციაციამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შექმნა პრეცედენტი, რომ ფერმერებისთვის შეგვეთავაზებინა დისტანციური სწავლების პროგრამები, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილება მიეღოთ ევროპაში. განხორციელებული სამუშაოები ეხმარება პროფესიულ განათლებასა და აგრარულ სექტორს, ეტაპობრივად დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო ფერმერებსა და სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, აიმაღლონ კვალიფიკაცია და დაამყარონ საერთაშორისო კონტაქტები ევროპის ქვეყნებში.

ფერმერთა ასოციაცია მომავალშიც გააგრძელებს ფერმერების მხარდაჭერას განათლების კუთხით და მჯერა, რომ კიდევ არაერთი საინტერესო ინიციატივით შევძლებთ დარგში ჩვენი წვლილის შეტანას.

შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“

– ცოდნის ცენტრი სასოფლო-სამეურნეო განათლებაში

შორენა ტყეშელაშვილი

შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“, რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარკინეთში გაიხსნა, ახალ სასწავლო წელს პირველ სტუდენტებს მიიღებს. აგრარული სასწავლებელი არაკომერციული პროექტია, რომელიც ხორციელდება შვეიცარიელ პარტნიორებთან, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან (SDC) ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. აგრარული სკოლის თანადამფუძნებელი და დირექტორი თინათინ მახარაძე და გაეროს განვითარების პროგრამის ცოდნის მართვისა და ინოვაციების სპეციალისტი თეა გულუა დაწვრილებით გვესაუბრებიან „კავკასიის“ სასწავლო მიზნებსა და პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე.

საინტერესოა სკოლის შექმნის ისტორია – რა მიზნით, რატომ შეიქმნა შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“?

თინათინ მახარაძე: მიხო სვიმონიშვილს, სკოლის დამფუძნებელს, დიდი ხანია, სურდა ასეთი სკოლის დაარსება საქართველოში. ის სოფლის მეურნეობის სისტემაში მოღვაწეობს და მუდმივად ხედავდა იმ შედეგებს, რაც არაკვალიფიციური კადრების და თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნის გამო აფერხებს ამ სფეროს განვითარებას. ჩვენი შვეიცარიელი პარტნიორია სკოლა „პლანტაჰოფი“, რომელთანაც დიდი ხანია, კავშირი გვაქვს და ჩვენც გვქონდა ინსპირაცია, რომ ასეთი სკოლა გაგვეკეთებინა საქართველოში. 2017 წლიდან დავიწყეთ აქტიურად მუშაობა ამ პროექტზე და ჩვენი გეგმა თავიდანვე იყო, გაგვეკეთებინა მსგავსი სკოლა თავისი საწარმოო ბაზებით. სანამ პირველ ნაბიჯებს გადავდგამდით და უშუალოდ მშენებლობას და ინფრასტრუქტურულ ნაწილს დავიწყებდით, პირველ რიგში, ვიმუშავეთ „პლანტაჰოფთან“ – მათთან ერთად მოვიფიქრეთ კონცეფცია. 2017 წელს ჩამოვიდნენ მათი წარმომადგენლები საქართველოში და ლოკაციაც მათთან ერთად შევარჩიეთ, საწარმოო სიმძლავრეები ერთად განვიხილეთ – რა როგორ უნდა ყოფილიყო აშენებული, ინფრასტრუქტურა, დაგეგმარება, ერთი სიტყვით, მთლიანად სკოლის კონცეფცია საწარმოო ნაწილიდან დაწყებული პროგრამებითა და მასწავლებელთა გადამზადებით დამთავრებული, ყველაფერი „პლანტაჰოფთან“ ერთად შევიმუშავეთ. ჩვენი იდეა არის, რომ ეს სკოლა უნდა იყოს ცოდნის ცენტრი სასოფლო-სამეურნეო განათლებაში. ადამიანმა, რომელსაც აქვს კითხვები, პრობლემები თავისი ფერმიდან გამომდინარე, მეცხოველეობისა და რძის წარმოების მი-

მართულებით, პასუხი უნდა იპოვოს ამ სკოლაში. „პლანტაჰოფსაც“ ანალოგიური სისტემა აქვს – გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამებით. აქვთ ფერმერთა კონსულტაციები და საკუთარი საწარმოები და ჩვენი სკოლაც ანალოგიურად არის აწყობილი.

გვესაუბრეთ სკოლის ლოკაციაზეც, რომელსაც ისტორიული წინაპირობაც აქვს. რატომ შეარჩიეთ დმანისი და რატომ გახდა მიმზიდველი ეს ადგილი შვეიცარიელი პარტნიორებისთვისაც და თქვენთვისაც?

– 2017 წელს, როდესაც პირველად იყვნენ ჩამოსულები შვეიცარიელები საქართველოში, ბევრ სხვადასხვა ადგილას ვიყავით. ერთ-ერთი პოტენციური ვარიანტი იყო დმანისი. მაშინ ჩვენ აქ მიწის ნაკვეთები არ გვქონდა. ისტორიას რაც შეეხება, დმანისში მე-19 საუკუნეში იყო 33 შვეიცარიული ფერმა, ასევე იყო შვეიცარიული ყველის ქარხანა – იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი სკოლა შენდება. პარტნიორები ჩამოვიყვანეთ დმანისში და გვითხრეს, რომ აქ გაგვეკეთებინა სკოლა. ჩვენც ძალიან მოგვწონდა ეს ადგილი ისტორიის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ არის ძალიან კარგი საძოვრები დიდი რაოდენობით, არის ძალიან მაღალი ხარისხის მიწა, ნაყოფიერი და თან შვეიცარიასაც ჰგავს. ამაზე ძველი ჩანაწერებიც არსებობს შვეიცარიელების, სადაც ამბობენ, რომ „ვისაც ეს ადგილები არ უნახავს სამხრეთ კავკასიაში, იმან მეცხოველეობის არაფერი არ იცის“. მართლაც იდეალური საძოვრებია აქ მეცხოველეობისთვის და ყველის წარმოებისთვის და ამიტომ შევარჩიეთ დმანისი.

სასწავლო პროგრამებზეც მოგვიყევით. როგორც ცნობილია, სწავლა შვეიცარიული სწავლების მოდელით წარიმართება. უფრო დაწვრილებით გვითხარით ამაზეც.

– გვაქვს ორი პროფესიული პროგრამა, ერთი არის „ფერმერი“ და მეორე – „რძის პროდუქტების წარმოება“. შვეიცარიულ სწავლის მოდელს რაც შეეხება, ეს არის სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური სწავლების პრინციპი. ასეთი სწავლების პრინციპი საქართველოში დანერგილია სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ჩვენ სხვებისგან იმით გამოვირჩევით, რომ გვაქვს საკუთარი საწარმოო ბაზები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის სწავლების დროს. მიუხედავად იმისა, რომ დუალური პროგრამები ხორციელდება საქართველოში, ძალიან რთულია საწარმოო ბაზებზე წვდომა სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მეცხოველეობის და რძის პროდუქტების გადამუშავების მიმართულებით. ასევე დეფიციტურია ისეთი საწარმოო ბაზები და ფერმები, სადაც ადეკვატური ხარისხის განათლებას მიიღებს სტუდენტი. თუ გვინდა, რომ უზრუნველვყოთ შვეიცარიული ხარისხი, არა მხოლოდ თეორიულ, პრაქტიკულ ნაწილსაც უნდა გადიოდნენ სკოლის ბაზაზე, ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ. ასეთ დროს დარწმუნებული ვიქნებით, რომ სტუდენტები იმ ხარისხის განათლებას მიიღებენ, რასაც შვეიცარიული სტანდარტი ითვალისწინებს. ამიტომ ავაშენეთ ჩვენი სასწავლო ფერმა და საკუთარი ყველის ქარხანა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ნაწილია ამ კოლეჯისთვის.

რამდენი სტუდენტი ისწავლის სასწავლებელში და როგორია დაინტერესება მათი მხრიდან?

– ჩვენ ვიღებთ რვა-რვა სტუდენტს თითო პროგრამაზე. სტუდენტებმა ადგილზე უნდა იცხოვრონ და კამპუსიც გათვლილია 35 სტუდენტზე. 12 ივლისიდან დაიწყო რეგისტრაცია და უამრავი ადამიანი გვწერს, გვირეკავს... აინტერესებთ დეტალები. ძალიან დიდია დაინტერესება მოკლევადიანი პროგრამებით. ამიტომ ვფიქრობთ, ძალიან მალე დავამატებთ მოკლევადიან ტრენინგებსაც.

სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომი იქნება თუ არა სტუდენტებისთვის?

– სწავლის გადასახადი ერთ სტუდენტზე ძალიან დიდია, რადგან პროგრამა ორწლიანია და ორი წლის განმავლობაში ჯდება 90 000 ლარი, თუმცა ამის 9%-ია გადასახადი, რაც სტუდენტს უწევს და ეს არის 4000 ლარი წელიწადში. ამ ხარჯში შედის კამპუსის მომსახურება, ცხოვრება, კვება და სასწავლო მასალები. სხვა ხარჯი წლის განმავლობაში სტუდენტს არ აქვს და უზრუნველყოფილია საცხოვრებლით და სასწავლო პირობებით. გარდა ამისა, მისაღები გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნება გადასახადზე შეღავათები. ეს პირობები ყველა

მოტივირებული აპლიკანტისთვის შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი.

რამდენად პერსპექტიულია ეს პროფესია სტუდენტებისთვის და რატომ უნდა დაინტერესდნენ ისინი მეცხოველეობითა და რძის წარმოების შესწავლით?

– ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, გავზარდოთ დამოუკიდებელი ფერმერები. ის ადამიანი, ვინც ჩვენთან მეცხოველეობის მიმართულებით დაასრულებს პროგრამას, იქნება აღჭურვილი ყველა იმ ცოდნით და უნარით, რაც საჭიროა საკუთარი ფერმის წარმართვისათვის. ჩვენს შემთხვევაში, ფერმერის პროგრამას ემატება ისეთი კომპონენტები, როგორიცაა აგრომექანიზაცია, ბიომეურნეობა, რძის პროდუქტების წარმოების საბაზისო კურსი, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად მართოს ფერმის ოპერაციების ყველა ნაწილი. ანალოგიურად არის რძის პროდუქტების წარმოებაში დაძველების ტექნოლოგიების ჩართვის, რძის ხარისხის კვლევები და ყველაფერი შედის პროგრამაში. ორიენტირებულნი ვართ, მაქსიმალურად ბუნებრივ პირობებზე იყოს მორგებული წარმოება. ამჟამად ჩვენი ფერმა და ჩვენი საქონელიც იმყოფება ისეთ საძოვრებზე, სადაც სოფელსაც ჰყავს თავისი საქონელი გაშვებული. გვინდა, სტუდენტს ვასწავლოთ, არსებულ პირობებში როგორ უნდა გაუმჯობესოს და გახადოს საქონელი უფრო პროდუქტიული. ჩვენ არ ვასწავლით მაღალტექნოლოგიური მიმართულებით, რასაც დიდი კაპიტალი სჭირდება, თუკი სტუდენტი გადაწყვეტს, თავისი საქმე დაიწყოს. ეს არის ის პირობები, რაც საქართველოს სოფლებში თანაბრადაა – სადაც არის საძოვრები ბუნებრივად... სტუდენტს შეიძლება თავადაც ჰქონდეს საკუთრებაში ასეთი საძოვრები. ჩვენ ვასწავლით სტუდენტებს, როგორ გაზარდონ წარმადობა იმ ერთი ჰექტრიდან და როგორ მიიღონ უფრო მეტი ლიტრი რძე და ერთი ლიტრი რძიდან როგორ მიიღონ მაღალი ღირებულების მქონე მეტი პროდუქტი. ჩვენი სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს ექნებათ ყველა ის ცოდნა, რაც საკუთარი პირობების გაუმჯობესებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, სამომავლოდ კურსდამთავრებულებს შევთავაზებთ კურსებს აგრობიზნესის მიმართულებით და გავუწევთ კონსულტაციებსაც, როგორ დაიწყონ საკუთარი წარმოება. ჩვენ ფერმაში გვყავს შვეიცარიული ჯიშის საქონელი და გვინდა, რომ წარმატებულ კურსდამთავრებულებს საჩუქრად გადავცეთ სწავლის დასრულებისას, რათა ამ სფეროსთან კავშირი არ გაწყვიტონ და დიპლომი არ დარჩეს უბრალოდ ფურცლად. ეს საკმაოდ ძვირადღირებული ჯიშია და გვინდა, საწყისი კაპიტალი ჰქონდეთ სწავლის დასრულების შემდეგ.

ვინ იქნება ჩართული სასწავლო პროცესში? ვინ ასწავლის სტუდენტებს – იქნებიან პროფესიონალები შვეიცარიის მხრიდან თუ ადგილობრივი სპეციალისტები ასწავლიან?

– გვეყოლება ქართველი და შვეიცარიელი მასწავლებლები. გვყავს ორი შვეიცარიელი მასწავლებელი – ერთი არის ფერმის მენეჯერი და მეორე – ყველის წარმოების სპეციალისტი, რომლებიც წარმართავენ ამ ორი პროგრამის პრაქტიკას. დანარჩენი მასწავლებლები არიან ქართველი სპეციალისტები, რომლებიც გადიან გადამზადებას ჩვენს შვეიცარიელ პარტნიორებთან. შემოდგომაზე იგეგმება სასწავლო ტური ჩვენს შვეიცარიელ პარტნიორთან „პლანტა-ჰოფში“. ზამთარში სამი თვით გვყავდა გაგზავნილი ორი თანამშრომელი გადამზადების კურსებზე. უკვე ჩამოვიდნენ და მუშაობენ ჩვენთან. სასწავლო პროცესი ადგილობრივი და შვეიცარიელი სპეციალისტების ერთობლივი ძალებით წარიმართება.

როგორ მოხდება სტუდენტთა შერჩევა სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინ?

– შესარჩევი პროცესი არის ორეტაპიანი. პირველ ეტაპზე იქნება ზოგადი ტესტირება, ლოგიკის შემოწმების მიზნით. რძის პროგრამას ემატება ქიმიისა და ბიოლოგიის საბაზისო შეკითხვები, რადგან ეს ორი საგანი მნიშვნელოვანია რძის პროდუქტების წარმოებისთვის. მეორე ეტაპზე კი იქნება სამოტივაციო გასაუბრება.

გეგმავთ თუ არა გაცვლით პროგრამებს სტუდენტებისთვის ცოდნის ასამაღლებლად?

– გვაქვს დაგეგმილი ე.წ. „სთადი“ ტურები, სასწავლო კვირები, როგორც შვეიცარიაში, ასევე საქართველოში, თუმცა მთელი სემესტრით რომ გავაგზავნოთ – ეს ნაკლებად მოსახერხებელი იქნება. შვეიცარიაში განსხვავებულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, იქ მთელი კვირა მუშაობენ ფერმაში და მხოლოდ ერთი დღე არიან სკოლაში. ჩვენთან პირიქით ხდება, რადგან ფერმაც ჩვენს ბაზაზეა.

პროექტის განხორციელებაში ვინ იყო ჩართული? ვინ იყო ამ პროექტის მხარდამჭერი, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი წარმომადგენლების მხრიდან?

– ჩვენი პროექტი მიხო სვიმონიშვილის კერძო ინიციატივაა. გვეხმარებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები. ჩვენი მთავარი ფინანსური პარტნიორია შვეიცარიული კერძო ფონდი „Gebert Ruf Stiftung“, რომელიც დაარსების დღიდან გვიჭერს მხარს. ვთანამშრომლობთ „პლანტაჰოფთან“. ე.წ. ფოდნის ტრანსფერის კომპონენტი ხორციელდება შვეიცარიის განვითარების სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ ასევე გაეროს განვითარების პროგრამა დაგვეხმარა ავტორიზაციის პროცესში. გარდა ამისა, ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსებშიც მივიღეთ მონაწილეობა და შევიძინეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ყველის საწარმოზეც გვითხარით, რით არის გამორჩეული სხვა საწარმოებისგან?

– ეს არის შვეიცარიული დანადგარებით აღჭურვილი ყველის ქარხანა, რომელსაც აქვს 2000 ლიტრი წარმადობა დღეში. ამ ქარხანას ორმაგი ფუნქცია აქვს ჩვენთვის – ერთი მხრივ, სასწავლო ბაზაა და მეორე მხრივ, რადგანაც ეს არაკომერციული პროექტია, სამომავლოდ კოლეჯის ფინანსური მდგრადობის გარანტიად უნდა იქცეს. გვაქვს დაძველების მეთოდები და ჩვენი ძირითადი მიმართულება დაძველებული მთის ყველია. ამისათვის გვაქვს სამი სპეციალური საწყობი, სადაც დამონტაჟებულია შვეიცარიული წარმოშობის კლიმატ-კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველის ხანგრძლივად დაძველებას, რაც მის ღირებულებას ძალიან ზრდის. ლაბორატორია სრულად აღჭურვილია და არის დახურული პროცესი სრული ჰიგიენური ნორმების დაცვით – ზუსტად ისეთი, როგორიც შვეიცარიაში შეგხვდებათ.

რა არის თქვენი მოლოდინი და სამომავლო გეგმები?

– პირველ რიგში, ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ დავიწყოთ სასწავლო წელი 25 ოქტომბერს. ძალიან გვიხარია, რომ პანდემიის მიუხედავად, მოვახერხეთ და დავასრულეთ ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მზად ვართ სტუდენტების მისაღებად. მას შემდეგ, რაც გრძელვადიანი პროგრამა გაეშვება, დავიწყებთ მოკლევადიან ტრენინგებსაც. ჯერჯერობით დაგეგმილი გვაქვს ერთდღიანი მასტერკლასები. ძალიან დიდი ინტერესია ბიომეურნეობისა და აგრომექანიზაციისადმი. სამომავლოდ შესაძლებელი იქნება, რომ მსმენელებს შეეძლოთ ერთ კონკრეტულ მოდულზე დასწრება, თუნდაც რამდენიმე კვირის განმავლობაში. ვფიქრობთ, ასევე დავამატოთ საშუალო ხანგრძლივობის კურსებიც. მომავალ წელს ვგეგმავთ წვრილფეხა საქონლის ფერმის მშენებლობას. კონკრეტულად ეს იქნება თხა და ცხვარი, რაც ასევე გააფართოებს ჩვენს ბაზებს. ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საძოვრების მენეჯმენტს და საკვებ-წარმოების მიმართულებითაც გვინდა ჩავატაროთ ექსპერიმენტები, მოვაწყოთ სადემონსტრაციო ნაკვეთები. ახლაც გვაქვს ჩამოტანილი ექვსი სხვადასხვა სახეობის ბალახის თესლი და უნდა ჩავატროთ ექსპერიმენტები – რომელი იმუშავებს ყველაზე კარგად და რომელი გაახანგრძლივებს მწვანე სეზონს საძოვრებზე, რათა ბუნებრივად, დიდი ხნის განმავლობაში შეძლოს კვება საქონელმა.

რამდენად მნიშვნელოვანია შვეიცარიული აგრარული სკოლის გახსნა ქვეყნისთვის და რას ნიშნავს ეს მოვლენა პროფესიულ განათლებაში?

თეა გულუა: შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტით პროფესიული განათლების სისტემაში იწყება მომავალი. პროფესიული განათლება ისეთი ტიპის განათლებაა, რომელიც განსხვავდება ზოგადი და უმაღლესი განათლებისაგან – ეს არის ეკონომიკის ძრავა. ცოდნასთან ერთად, პროფესიული განათლება გულისხმობს უნარებსაც, უნარები კი ისეთი რამ არის, რაც ჩვენი ყოველდღიურობაა. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო პროფესიულმა განათლებამ, რადგან ჩვენთან საბჭოთა ეკონომიკა იყო და ახალი ეკონომიკა, რომელიც უნდა დაწყებულიყო ქვეყანაში, ითხოვდა სხვა ტიპის კერძო სექტორის ჩართულობას. რამდენიმე ათეული წელია, პროფესიული განათლება დეკლარირებს, რომ სამუშაო ძალა უნდა მომზადდეს დასაქმებისთვის, უნდა მომზადდეს ეკონომიკის გაძლიერებისათვის და ეს უნდა მოხდეს კერძო სექტორთან თანამშრომლობით და ის უნდა იყოს მთავარი პარტნიორი პროფესიულ განათლებაში. ეს მარტივი სათქმელი აღმოჩნდა, მაგრამ რთულია სისტემური ცვლილებების განხორციელება ზოგადად, თუნდაც განვითარებულ ქვეყნებში. კერძო სექტორის ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისათვის, რადგან რაც უფრო ძლიერია კერძო სექტორი პროფესიულ განათლებაში, მით უფრო ძლიერია ქვეყანა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით ეს ყველაზე რთული აღმოჩნდა, რადგან განათლებისთვის ერთ-ერთი ძვირადღირებული სექტორია და ყველაზე დაჩაგრულიც, იმის გათვალისწინებით, რომ მთლიან შიდა პროდუქტში ძალიან მცირეა წვლი-

ლი სოფლის მეურნეობისა. მეორე მხრივ, ჩვენი მოსახლეობის 40%-ზე მეტი სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული. წილი კი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 8%-ზე ნაკლებია. გამოწვევა, რომელიც სისტემას, სექტორს და პროფესიულ განათლებას აქვს სოფლის მეურნეობაში, ძალიან კომპლექსურია. ამ ფონზე კი, როდესაც იბადება ასეთი ინიციატივა, რომელიც სახელმწიფოსგან კი არ ითხოვს რამეს, არამედ თავად აკეთებს და თავად დებს ამ ინვესტიციას, პროფესიული განათლებისათვის ინოვაციაა ყველა მიმართულებით. რაც თინათინმა ისაუბრა და რა ასპექტებიც გამოყო - როგორ იქმნებოდა კოლეჯი, რა მიდგომებს მიმართეს, ვის დაუკავშირდნენ, როგორ აამუშავეს ეს მექანიზმი, თავიდან ბოლომდე ინოვაციურია და სამაგალითო სისტემისათვის. როგორც პროფესიული განათლების განვითარებაში ჩართულ სპეციალისტს, გამიმართლა, რომ შესაძლებლობა მაქვს, ჩემს ქვეყანაში მქონდეს ასეთი მაგალითი, რომელიც გამოადგება სისტემას მისი შემდგომი განვითარებისათვის.

გაეროს განვითარების პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ეკონომიკური მხარდაჭერა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაშიც ეხმარება ქვეყანას. ამ მხრივ რა მოლოდინი აქვს პროგრამას ამ პროექტის განხორციელებით? რა ცვლილებები შეიძლება მოიტანოს პროექტმა როგორც ქვეყნისთვის, ასევე საზოგადოებისთვის?

– ამ კოლეჯს აქვს პოტენციალი, იქცეს რეგიონის განვითარების ცენტრად, არა მხოლოდ ცოდნის და უნარების მიმართულებით; გააძლიეროს არა მარტო სტუდენტები, არამედ ის მოსახლეობა, ის სივრცე, რომელიც ამ კოლეჯის ირგვლივაა. ერთი ძლიერი მოთამაშე რეგიონში ძალიან ბევრ რამეს შეცვლის. მახსენდება გერმანული მაგალითი. რამდენიმე ათეული წლის წინ ერთ სოფელში – ტრისდორფში დაიწყო სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროგრამების განვითარება და დღეს მთელი ტრისდორფი არის არა მარტო გერმანიის, არამედ საერთაშორისო მექა აგრარული განათლების მიმწოდებლებისთვის. საქართველოშიც გვყავს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ტრისდორფის კურსდამთავრებულები, რომლებიც აძლიერებენ ქვეყანას და არა მარტო სექტორს. სერიოზული პოტენცია აქვს კოლეჯს, გახდეს მოთამაშე ეკონომიკის განვითარებისათვის, არა მარტო დმანისის მასშტაბით, არამედ მთელი ქვეყნის, რეგიონის მასშტაბითაც. ჩვენ ძალიან ბევრი ვალდებულება გვაქვს აღებული ქვეყნის წინაშე. ჩვენ სხვა ეტაპზე უნდა გადავიდეთ – როგორც მწარმოებლები, ასევე მომხმარებლები, რომლებსაც გვჭირდება ხარისხიანი პროდუქცია უკეთესი ცხოვრებისათვის.

პანდემიამ, რომელმაც ყველაფერი შეცვალა, კიდევ უფრო კარგად დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია კარგი პროფესიული განათლება. როგორ ეხმარება ასეთი ცოდნა ცვალებად სამყაროში მცხოვრებ ადამიანს?

– მიუხედავად იმისა, რომ პანდემია და არამდგრადი სიტუაციაა, ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფიქრობს, დაბრუნდეს სოფელში, არა მხოლოდ იმისთვის, რომ სუფთა ჰაერი ისუნთქოს და იზოლაციაში იყოს – ცდილობს, რაიმე ახალი პროდუქტი შექმნას. ასეთი მაგალითები მომრავლდა, რაც ძალიან კარგი ტენდენციის მაჩვენებელია, მიუხედავად კრიტიკული სიტუაციისა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. ასეთ დროს ასეთი ცოდნის ცენტრების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ერთია ტენდენცია, მეორეა – სურვილი. ზოგჯერ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ იყოს წარმატებული ფერმერი თუ სოფლის მცხოვრები. პროფესიული განათლება პირველ რიგში მოიაზრება დასაქმებისათვის და უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევისათვის, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმას, რომ არა მარტო დასაქმებისა და უმუშევრობის დაძლევისათვის არის მნიშვნელოვანი, არამედ უკეთესი მომავლის შექმნისთვისაც. შვეიცარიელები ყოველთვის ამბობენ, რომ კარგი პროფესიული განათლებით აღჭურვილი მოქალაქე მათი ეკონომიკის ბერკეტი და ბურჯია. ასე რომ, პროფესიული განათლება გვჭირდება არა მარტო დასაქმებისათვის, არამედ განვითარებისათვის, ინოვაციებისათვის. კარგი პროფესიული განათლების მქონე, უნარიანი ადამიანი არა მარტო კერძო სექტორის, არამედ ყველას მომავალს ქმნის.

„აისელების“ საერთო მიზანი: ხარისხიანი პროფესიული განათლება = დასაქმება = ქვეყნის განვითარება

ირმა კახურაშვილი

სოფელ კაჭრეთში, სადაც კოლეჯი „აისი“ მდებარეობს, დილის საათებში ჩავდივართ. აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები სწავლობენ, თუმცა მათი უმეტესობა კახეთიდანაა და სასწავლებლის დასრულების შემდეგ ადგილზევე საქმდება.

კოლეჯის ისტორია 1980 წლიდან იწყება და უწყვეტად ვითარდება. დღეს „აისს“ ფილიალებიც აქვს – ლაგოდეხში, ალვანსა და დედოფლისწყაროში.

კოლეჯის სიცოცხლისუნარიანობას მისი გუნდის ფუნდამენტური ღირებულებები – სრულყოფილებისკენ და განვითარებისკენ სწრაფვა განაპირობებს.

10 ჰექტარზე გაშლილი კოლეჯი, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი ბაზით, ასევე, სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული საცხოვრისით, ქმნის იდეალურ სასწავლო გარემოს, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებთან და კერძო ბიზნესთან მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად, სრულყოფილად პასუხობს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს.

კოლეჯის განვითარების მდგრადობის საიდუმლო

ყოველწლიურად „აისის“ ფილიალებში პროფესიულ განათლებას 1200-მდე სტუდენტი იღებს. კოლეჯების გარემო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. ახალი კანონით, ინტეგრირებული პროგრამების დანერგვის შემდეგ კოლეჯში სწავლება ხელმისაწვდომი გახდა ცხრაკლასდამთავრებულთათვის, ვისაც პროფესიასთან ერთად საშუალო განათლების და ატესტატთან გათანაბრებული დიპლომის აღება შეუძლია.

იმისათვის, რომ კოლეჯის სტუდენტი გახდე, ცხრა კლასი დამთავრებული უნდა გქონდეს. ასაკის ზედა ზღვარი შეუზღუდავია. კოლეჯს 60 წელს გადაცილებული არაერთი სტუდენტიც ჰყოლია – ისინი, ვისაც არ შეშინებია ახალი პროფესიის დაუფლება ან უკვე დაგროვილი ცოდნის გაღრმავება. ასეთ ადამიანებს კოლეჯში სწავლების პერიოდშივე აუწყვიათ საკუთარი ბიზნესი.

პანდემიის დაწყებამდე „აისის“ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 82% იყო, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯმენტის კვლევით, პანდემიის პერიოდში კი 62% გახდა, რაც მაინც გაცილებით მაღალია, ვიდრე ქვეყნის დასაქმების მაჩვენებელი.

კაჭრეთის „აისი“ რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: ინჟინერია, ტურიზმი, მომსახურებისა და სერვისის სფერო, ჯანდაცვა და სხვ. „აისის“ ტერიტორიული მდებარეობიდან გამომდინარე, მოწინავე პოზიციებს აგრარული მიმართულებები იკავებს. პრიორიტეტულია ხეხილის, ვენახის, ბოსტნის მოვლის სფერო და მეფუტკრეობა.

რაც შეეხება სასწავლო პროგრამების სპექტრს, კოლეჯში ინერგება მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობს. ასეა მის ფილიალებშიც. მაგალითად, ალვანის კოლეჯში კარგად არის განვითარებული ხელოვნებისა და ტურიზმის პროგრამები, რაც იმ კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის მეტად მოთხოვნადია.

თუმცა, თავდაპირველად, კაჭრეთის პროფესიული სასწავლებელი მხოლოდ ორი დარგის სპეციალისტებს უშვებდა – მექანიზაციისა და პურ-პროდუქტების. 1980-90 წლებში ის ადგილობრივი პურ-პროდუქტების კომბინატის საბაზო დაწესებულებას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა კომბინატმა ვეღარ შეძლო მაღალი წარმადობით მუშაობა, სასწავლებელმა სტაგნაცია განიცადა – სასწავლო პროგრამები შემცირდა, თუმცა პროფესიულ სასწავლებელს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია.

40 წლის განმავლობაში პროფესიულ განათლებას აქ 20 ათასზე მეტი სტუ-

დენტი ეზიარა. კოლეჯში სწავლება სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარეობს, ანუ სტუდენტებისთვის ის ყოველთვის იყო უფასო და ეს „ტრადიცია“ დღემდე გრძელდება.

კოლეჯში ამბობენ, რომ არცერთი წუთი არ არიან უმოძრაოდ და ყოველთვის რაღაცას ქმნიან. პედაგოგთა გუნდს სჯერა, რომ პროფესიული განათლება ქვეყნის მთავარი ხერხემალია, სწორედ მან უნდა შეამციროს უმუშევრობა და გააძლიეროს ეკონომიკა.

„არასოდეს ვუშინდებით სიახლეებს. 2016 წელს, როდესაც ბევრს აეჭვებდა დუალური პროგრამები, მევენახეობა-მეღვინეობაში ხუთი კომპანია ვიპოვეთ, სადაც ჩვენი სტუდენტები დასაქმდნენ. დღეს ამავე სექტორში 21 მძლავრი კომპანია გვყავს ჩართული.

ჩვენ არ ვჩერდებით – სწავლის მსურველთათვის ყველაზე მოთხოვნადი პროგრამების შეთავაზებას ვცდილობთ. გვინდა, ეს სისტემა უფრო დავხვეწოთ. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ, ძალიან გვეხმარება განათლების სამინისტრო. ჩვენი სტუდენტი კოლეჯიდან საწარმოში რომ გადავა, მისთვის ნაცნობი გარემო უნდა დახვდეს. ამ გარემოში ყოფნას კი აქ ვასწავლით. დიდი ხელშეწყობა გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობიდან. სადაც არ უნდა ვოპერირებდეთ, ჩვენ შესახებ ყველამ იცის. კარგი თანამშრომლობა გვაქვს დონორ ორგანიზაციებთან – ჩვენთვის მნიშვნელოვანია დამატებითი სახსრების მოძიება და გამოცდილებას გაზიარება“, – ამბობს კოლეჯის დირექტორი მალხაზ ასლამაზაშვილი, რომელიც თავადაც „აისის“ კურსდამთავრებულია. დირექტორის პოზიციამდე მან კოლეჯში 22 წელი პედაგოგად იმუშავა. 2007 წლიდან „აისი“ სწრაფი განვითარების გზას დაადგა: შენობების რეაბილიტაცია, ახალი პროგრამების დანერგვა, ტექნოლოგიური აღჭურვილობის განახლება... 2016 წლიდან განვითარების ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა. დღეისათვის „აისში“ 25-მდე საკვალიფიკაციო პროგრამა და 16 მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამა ხორციელდება.

კოლეჯში სტუდენტს კონკრეტული კომპეტენციის შეძენა შეუძლია, ვთქვათ, მეფუტკრეობაში – ფუტკრის მოვლა-პატრონობა, მეღვინეობაში – ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება და სხვ. აღსანიშნავია, რომ წელს კოლეჯში მებაღეობის ვრცელი პროგრამა მოკლევადიან პროგრამებად ჩაიშლება. აქ მიაჩნიათ, რომ პროფესიულ განათლებაში ყველაზე პერსპექტიული სწორედ მოკლევადიანი პროგრამებია.

კოლეჯის გამოცდილება აჩვენებს, რომ 6 კვირიდან 3 თვემდე ვადიანი პროგრამები ძალიან მოქნილია იმ სტუდენტებისთვის, ვინც უკვე დასაქმებულია, მაგრამ მაინც სურს დაეუფლოს ახალ პროფესიას ან რაიმე დამატებით შეისწავლოს. მარტივად რომ ვთქვათ, კოლეჯის სტუდენტს, თუკი ის მუშაობს, სამსახურის მერეც შეუძლია მოვიდეს კოლეჯში და რამდენიმესაათიან ლექციებს დაესწროს.

რა გაზრდის კოლეჯის დამატებით შემოსავალს?

კოლეჯის ტერიტორია ლოკაციებად იყოფა, სადაც სწავლება კეთებით მიმდინარეობს და თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება. განსაკუთრებით საინტერესოა პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სივრცეები. სახელოსნოების, ლაბორატორიების, ფერმის, ღვინის საწარმოს და სხვა მსგავსი შენობების გარდა, კოლეჯს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი კლას-კაბინეტებიც აქვს.

კოლეჯი სამაგალითოდ არის გამწვანებული. მისი მოვლილი ტერიტორია ქმნის კომფორტისა და უსაფრთხოების განცდას.

აღსანიშნავია, რომ სხვა კოლეჯების მსგავსად, მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მოძიება „აისისთვისაც“ ერთგვარი გამოწვევაა. კოლეჯში ამბობენ, რომ ბევრს მუშაობენ არსებული რესურსის შენარჩუნებისთვის, მაგრამ უახლოეს მომავალში ახალი ვაკანსიების გამოცხადებასაც გეგმავენ. თითოეულ პროგრამას აქ ორი პედაგოგი მაინც ჰყავს, თუმცა სტუდენტს რაც უფრო მეტ მასწავლებელთან ექნება შეხება, მისი ცოდნაც უფრო გაღრმავდება – ასეთია სწავლისადმი „აისელთა“ მიდგომა.

ახალმა კანონმა სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის შესახებ კოლეჯს სამეწარმეო საქმიანობის უფლება მისცა. კოლეჯის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის დროს წარმოებული დოვლათი აქამდე არ იყიდებოდა. მაგალითად, ხილ-

ბოსტნეულის საწარმოში წარმოებული პროდუქცია ძირითადად სტუდენტების ადგილზე კვებას ხმარდებოდა (აქ სტუდენტს 4-5 ლარად შეუძლია დღეში რამდენჯერმე იკვებოს). მალხაზ ასლამაზაშვილის განმარტებით, თუ კოლეჯის საწარმოებმა და სახელოსნოებმა სამეწარმეო საქმიანობას ფეხი აუწყვეს და პროდუქციის გაყიდვა მოახერხეს, რაც სრულიად რეალისტურია, დამატებითი შემოსავალი ახალი პროგრამების განვითარებას, ტექნიკური სიახლეების დანერგვას და ინფრასტრუქტურას მოხმარდება.

მაგალითად, ზოგჯერ კოლეჯს 2-3 ტონა თაფლიც კი უწარმოებია. მას 80-მდე ძირი სკა აქვს. მეფუტკრეობის სპეციალობის მასწავლებლის, ილია ხარაზიშვილის თქმით, აქ თერმული სკების წარმოებასაც კი ასწავლიან. ასეთი სკა უფრო შემოსავლიანია თაფლის მიღების თვალსაზრისით.

მეფუტკრეობის სპეციალობისადმი ინტერესი მზარდია როგორც უფროს, ისე ახალ თაობაში. სწავლება მოდულური პროგრამით მიმდინარეობს.

ილია ხარაზიშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ ამ სფეროოს დიდი დარტყმა მიაყენა, ისინი მაინც აგრძელებენ ფუტკრებისთვის ეკოლოგიურად სუფთა ადგილების მოძიებას. „სოფელ ზიარში 22 ჰექტარი ადგილი გვაქვს, მრავალწლიანი ყვავილი ფაცელიაც დავთესეთ. გვინდა, რომ ფუტკარს ისეთი სამთაბარო ველი ჰქონდეს, სადაც პესტიციციდები არ გამოიყენება. ახლა ყვავილობის სეზონის მოლოდინში ვართ“, – ამბობს ტრადიციული მეფუტკრეობის გულშემატკივარი პედაგოგი და აჭარიდან საჩუქრად გადმოცემულ ოთხ ჯარას გვაჩვენებს – მოდული მალე დაიწერება და ჯარის მეფუტკრეობა სასწავლო პროგრამაში აღმოჩნდება.

გზად ხელოვნების სასახლის ტერიტორიას ვათვალიერებთ, სადაც ხშირად იმართება სხვადასხვა ღონისძიება, კოლეჯებში წარმოებულ ნამუშევართა გამოფენები. რამდენიმე კვირის წინ აქ საჭადრაკო შეჯიბრიც ჩატარებულა.

შემდეგ მეღვინეობა-მევენახეობის სტუდენტებს მარანში ვხვდებით. „ამ მიმართულებით გვაქვს როგორც დუალური, ისე მოდულური სწავლება. ვასწავლით, თუ რა გზა უნდა გაიაროს ღვინომ ვენახიდან ეტიკეტირებამდე. დუალური სწავლების დროს სტუდენტები კვირაში 4 დღეს ღვინის საწარმოში ატარებენ, 1 დღე კი კოლეჯში თეორიულ მეცადინეობას ეთმობა. მოდულური პროგრამის მიხედვით, კვირაში 5 დღე კოლეჯში მიმდინარეობს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობა“, – გვიზიარებს თამარ გეთიაშვილი, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

ჩვენი თანდასწრებით მომავალ მეღვინეებს ერთ-ერთი პედაგოგი ღვინის დეგუსტაციაზე ესაუბრება – როგორ უნდა შეიგრძნონ გემოები, რამდენად სხეულიანია რქაწითელი თავისი ჯიშობრივი არომატებით. შეგახსენებთ, რომ საქართველოში 528 ჯიშის ვაზია და აქედან 98 საღვინე და სასუფრე ჯიშის ყურძენი კახეთზე მოდის.

კოლეჯში ამაყობენ, რომ მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით ისეთი პროფესიები აქვთ, სადაც სტუდენტები 100%-ით საქმდებიან. მათ, ვინც დუალურ პროგრამებს ამთავრებს, დამსაქმებლები საწარმოებში იტოვებენ. კოლეჯი თანამშრომლობს ისეთ დიდ კომპანიებთან, როგორიცაა „თელიანი ველი“, „ქინძმარაული“ და სხვ.

ასეთივე, 100%-იანი დასაქმებაა კულინარიის მიმართულებით. ბოლო დროს კი დიდი მოთხოვნა გაჩნდა მიმტანისა და რეცეფციონისტის პოზიციებზე. მალე „აისში“ ამ სასწავლო მოკლევადიან პროგრამებსაც დაამატებენ.

პროფესიული სწავლა ყველა ასაკში დროულია

17 წლის ლაშა ჯიქურაშვილი კაჭრეთში ცხოვრობს. მან ბავშვობიდანვე იცოდა პროფესიული სასწავლებლის, „აისის“ შესახებ და როდესაც არქიტექტურის განხრით უნივერსიტეტში ჩაბარება გადაწყვიტა, კოლეჯში ხის მხატვრული დამუშავების სწავლას შეაუდგა.

„აისში“ ის ხის მაკეტების მომზადებაშია ჩართული. კოლეჯში უკვე ერთი

წელია, დადის. მისი აქაური სასწავლო კურსი წელიწადნახევრიანია.

ლაშას მასწავლებელი ტარიელ ზაკალაშვილი მეთერთმეტე წელია, კოლეჯში მუშაობს. ამბობს, რომ ხის მხატვრული დამუშავების მიმართ არა მხოლოდ ბიჭები, გოგონებიც დიდ ინტერესს იჩენენ.

ტარიელ ზაკალაშვილისთვის წელს პირველი მოდულური სწავლების წელია. მისი კურსდამთავრებულები ახლა უფრო სოფლებში დასაქმდებიან, ქალაქში კი – ნაკლებად. ბევრს უკვე აქვს საკუთარი მცირე სახელოსნო, სადაც შესაძლებელია ხის სუვენირების, სათამაშოების, ჭურჭლის, ეკოლოგიურად სუფთა ავეჯის დამზადება.

ბატონი ტარიელის თქმით, შრომის ბაზარს დურგლებიც სჭირდება. იმისათვის, რომ სტუდენტებმა სწავლება ხარისხიანად გაიარონ, აუცილებელია ხის დამამუშავებელი თანამედროვე ხელსაწყოები, რაც ჯერჯერობით კოლეჯისთვის გამოწვევაა.

იმას, რომ „აისელ“ სტუდენტს სწავლების პროცესში შეუძლია საკუთარი საქმის წამოწყება, ლომარ ბეზარაშვილის ისტორიაც მოწმობს. გურჯაანელი ახალგაზრდა ბავშვობიდანვე ვენახზე იყო შეყვარებული. 11 კლასი სრულად დაამთავრა, მაგრამ უმაღლესი განათლება არ მიუღია. როგორც თვითონ ამბობს, „სიბერეში“ მიხვდა, რომ ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნა აკლია და კაჭრეთის კოლეჯში სამწლიან დუალურ სწავლებაზე, 30 წლის ასაკში ჩაირიცხა. სასწავლებელში ის საკუთარი მანქანით დადის, „პრაქტიკები“ კი პაატა ჯოხაძის ქარხანაში აქვს. თავის პარტნიორთან ერთად, ლომარმა პატარა მარნის მშენებლობას მიჰყო ხელი. ახალი ცისტერნებიც გამოიწერა. უკვე შემოდგომაზე ის 5 ჰექტრიდან აღებულ მოსავალს საკუთარ მარანში დააბინავებს.

22 წლის ლაგოდეხელი ლაშა მათეშვილი კი მომავალი ვეტერინარია და კოლეჯის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. აქ იმიტომ მოვიდა, რომ სახელმწიფო დაფინანსებამ და დასაქმების პერსპექტივამ მოხიბლა. ლაშა დიდი ხანია, გატაცებულია მეფრინველეობითა და მეცხოველეობით. მან 12 კლასი დაამთავრა, სამხედრო სამსახურიც მოიარა.

„სახლში ბევრი ეგზოტიკური ფრინველი და ცხოველი მყავს. მიყვარს მათი მოვლა-მოშენება. მინდა, თუ დასჭირდათ, მათი დახმარება შევძლო. ჩემი მიზანი მინიფერმისა და ვეტაფთიაქის გახსნაა. კმაყოფილი ვარ იმით, რომ საერთო საცხოვრებელში ჩემი სივრცე მაქვს, სადაც შემიძლია მშვიდად ვიმეცადინო და ვიკითხო. ყველა სართულზე სამზარეულოა. სურვილის შემთხვევაში, დამოუკიდებლადაც მოამზადებ საჭმელს. „აისის“ ფილიალი ლაგოდეხშიც არის, მაგრამ კაჭრეთში იმიტომ წამოვედი, რომ საერთო საცხოვრებელში დამოუკიდებლად მეცხოვრა, მესწავლა, ახალი მეგობრები შემეძინა“.

საერთო საცხოვრებელში ვაუებისა და გოგონების ფლიგელები ცალცალკეა. კოლეჯში თუ ცხოვრობ, საღამოს ცხრა საათზე მის ტერიტორიაზე უნდა იყო. უფასო საცხოვრებელზე ხელი მიუწვდებათ როგორც სტუდენტებს, ისე მოკლევადიანი პროგრამის მსმენელებს.

კოლეჯში ხშირად ტარდება სპორტული და ინტელექტუალური თამაშები, სტუდენტები დადიან ლაშქრობებში, ექსკურსიებზე. ასევე, სასწავლო წლის განმავლობაში „აისს“ სხდასხვა სკოლის უფროსკლასელები სტუმრობენ, ეცნობიან აქაურ გარემოს, სასწავლო პროცესს, მონაწილეობენ პრაქტიკულ მეცადინეობებში, ათვალიერებენ საერთო საცხოვრებელს და, როგორც წესი, „აისელობის“ სურვილსაც გამოთქვამენ.

სწავლა კეთებით

ამერიკელი ფილოსოფოსის, ჯონ დიუის იდეამ – „სწავლა კეთებით“ კაჭრეთის პროფესიულ სასწავლებელში საუკეთესო გამოძახილი ჰპოვა. ადგილობრივი პედაგოგების თქმით, სტუდენტებისთვის გაცილებით მარტივია ის სასწავლო

ვისი ცხოველი ან ფრინველი ჰყავს მიჩენილი, რაც ერთი-ორად ზრდის სწავლის ხარისხს.

გიორგი გუგულაშვილის თქმით, ვეტერინარის სპეციალობაზე უმთავრესად ის შემოდის, ვისაც ეს დარგი აინტერესებს და იცის, ორ წელიწადში სად დასაქმდება. ასეთი ადგილები მრავლადაა სოფელშიც და ქალაქშიც: ვეტაფთიაქები, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაციის პუნქტები, ფერმები.

დღეს კაჭრეთის კოლეჯი „აისი“ ახალი სტუდენტების მოლოდინშია. ადმინისტრაციაში იმედოვნებენ, რომ პანდემიის დასრულების

პროცესი, რომელიც პრაქტიკასა და საველე საქმიანობას უკავშირდება.

ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიის მასწავლებელი მარიკა ზუბიტაშვილი ამბობს, რომ პროფესიულ სწავლებაში მნიშვნელოვანია თეორიულ-პრაქტიკული სასწავლო პროცესის სწორად შერწყმა.

„ბოლო წლებში, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, კახეთში არაერთი ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და საკონსერვე საწარმო გაიხსნა, სადაც ჩვენს სტუდენტებზე დიდი მოთხოვნაა. ახლახან გურჯაანში ახალი სამაცივრო მეურნეობაც გამოჩნდა. ეს ძალიან გვახარებს“, – გვიყვება მასწავლებელი და გვიზუსტებს, რომ მის სტუდენტებს ისეთ დანადგარებზე უწევთ სამუშაო პროცესების შესწავლა, რომლებიც შემდგომში საწამოების გარემოში დახვდებათ.

კოლეჯი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზეა ორიენტირებული. თითქმის ყველაფერი, რაც აქ მოწყობილ სპეციალურ მინისაამქროში მუშავდება, ამავე ტერიტორიაზე მოჰყავთ. ასე მზადდება: მურაბები, კომპოტები, წვენები, ხილფაფები და სხვ.



ფართო პროფილის ვეტერინარი გიორგი გუგულაშვილი, რომელიც კოლეჯში 2009 წლიდან მასწავლებლობს, ადასტურებს, რომ როდესაც სტუდენტები აუდიტორიიდან ფერმაში ინაცვლებენ (20 სულზე გათვლილი თანამედროვედ აღჭურვილი ფერმა კოლეჯის ტერიტორიაზე გაეროს თანადგომით აშენდა), ეს შესამჩნევად აცოცხლებს სწავლის პროცესს. ხელსაწყოები, მულაჟები, მსხვილრქოსანი პირუტყვი, ფრინველები – მნიშვნელოვანია კეთებით სწავლებაში. კოლეჯში ყველა სტუდენტს საპატრონოდ თა-

შემდეგ აქტიურად ჩაერთვებიან გაცვლით პროგრამებში, როგორც პედაგოგები, ასევე სტუდენტები.

„შენი ქვეყანა უნდა გიყვარდეს და ყველამ რაღაც უნდა ვაკეთოთ მისი განვითარებისთვის. ყველანი საერთო მიზნის – ხარისხიანი განათლების გარშემო უნდა ვიყოთ გაერთიანებულები“, – ასეთია კაჭრეთელთა განწყობა.

ანია ზალცმანის წარმატების ისტორია პროფესიული განათლების დახმარებით

შორენა ტყეშელაშვილი

„სწავლა გვიან არასდროს არ არის“, – დაბეჯითებით ამბობს ანია ზალცმანი. ამის მაგალითი მისი პროფესიული ცხოვრება და საქმიანობაში წარმატებაა. ანია ფიქრობს, რომ წარმატება დამოკიდებულია ადამიანზე და მონდომებაზე – თუ როგორ შრომობს და რამდენად მიზანდასახულია თავის საქმიანობაში. პროფესიული განათლება ეხმარება ადამიანს, იპოვოს ახალი პროფესია, აიმაღლოს კვალიფიკაცია, გამოიმუშაოს ახალი უნარები და მიაღწიოს კეთილდღეობას.

მოგვიყევით თქვენი თავდაპირველი პროფესიის შესახებ. რას საქმიანობდით, სანამ პროფესიული განათლების მიღებას გადაწყვეტდით?

– ვცხოვრობ ქალაქ თელავში. თელავშივე დავამთავრე კოლეჯი „პრესტიჟი“, სადაც ვსწავლობდი ელექტროგამომთვლელი მანქანების სპეციალობაზე. თუმცა განათლების მიღება ამით არ დამისრულებია. ამის შემდეგ სწავლა განვაგრძე და დავამთავრე თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. ასევე, პარალელურად ვსწავლობდი და დავამთავრე თელავში არსებული უცხო ენათა კოლეჯი, გერმანული ენის სპეციალობით. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მქონდა პაუზა ცხოვრებისეული გამოწვევების და ოჯახური მდგომარეობის გამო. მერე კი დავიწყე ჩემი სამსახურებრივი კარიერისთვის ზრუნვა და ფიქრი. პირველი ნაბიჯები გადავდგი არასამთავრობო ორგანიზაციაში, სადაც ხორციელდებოდა PH INTERNATIONAL-ის პროგრამა. ეს არის სამოქალაქო განათლების პროგრამა, რომელიც კახეთის რვა მუნიციპალიტეტის 40 სკოლას მოიცავდა. ამ სამსახურმა საკმაოდ დიდი გამოცდილება მომცა, რადგან ვცდილობდით, მოსწავლეებისთვის გვესწავლებინა, როგორ გადაეტანათ სამოქალაქო განათლების თეორიული ცოდნა პრაქტიკაში. თუმცა ხუთწლიანი გამოცდილების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ შემეცვალა ჩემი ყოველდღიურობა და ჩემი პროფესიაც და რაღაც ახალი საქმე მეპოვა, მეზრუნა კარიერულ განვითარებაზე, სულ სხვა მიმართულებით.

რატომ დაინტერესდით პროფესიული განათლებით და რა გამოცდილება მიიღეთ ამ კუთხით?

– სწორედ ცვლილებების სურვილისას გავიგე დუალური პროგრამების შესახებ, რომელსაც ახორციელებდა პროფესიული განათლების არსებული დაწესებულებები. შევისწავლე პროგრამების შინაარსი, გავიაზრე ის შესაძლებლობები, რაც შეიძლებოდა ამ პროგრამაში ჩემს ჩართულობას მოეცა. შემდეგ სოციალურ ქსელში გავეცანი იმ კოლეჯების ჩამონათვალს, რომლებიც ახორციელებდნენ დუალურ პროგრამებს. აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთი ასეთი იყო კაჭრეთში არსებული კოლეჯი „აისი“ და არჩევანი გავაკეთე მასზე სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. დუალური პროგრამების საფუძველს წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად კომპანია ირჩევს მომავალ კადრად ისეთ ადამიანს, რომელიც წარმატებულად გაართმევს თავს სწავლას. ამ პერიოდისთვის დაარსდა მეხილეობის, მეღვინეობის და მევენახეობის ფაკულტეტი და მივიღე გადაწყვეტილება, ჩამებარებინა მეხილეობის ფაკულტეტზე. წარმატებული გასაუბრების შემდეგ მოვხვდი კოლეჯში მეხილეობის ფაკულტეტზე. გავეცანით კონტრაქტორ კომპანიას. ეს ხდებოდა გაზაფხულზე და ჩვენი დავალება იყო, აგვერჩია ერთი დღე თეორიისთვის და 5 დღე – პრაქტიკისთვის. დუალური პროგრამის პრინციპიც სწორედ ეს არის, რომ თეორიულ სწავლებას განვამტკიცებთ პრაქტიკულად კომპანიაში ან საწარმოში მუშაობით. ასეთი კომპანია ჩვენთვის აღმოჩნდა

აგროკომპანია შპს „აგროკაკლის სისტემები“. ამ კომპანიას აქვს 25-წლიანი გამოცდილება შრომის ბაზარზე და ერთ-ერთი ცენტრალური ფილიალი აქვს გურჯაანში. სწორედ გურჯაანში მოგვიწია ჯგუფთან ერთად პრაქტიკული ნაწილის გავლა. ამ ხნის განმავლობაში კომპანიამ დაგვინიშნა სტიპენდია. ასე დაიწყო ჩემი სტუდენტური ცხოვრება. კვირაში ერთი დღე ვსწავლობდით თეორიულ ნაწილს და დანარჩენი 5 დღე სადემონსტრაციო ნაკვეთებზე თეორიული კურსიდან მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად განვიმტკიცებდით. კვირაში ხუთი დღე დავდიოდით გურჯაანის ფილიალში, გვყავდა ინსტრუქტორი და აგრონომი, რომლებიც გვასწავლიდნენ პრაქტიკულად იმ თეორიულ მასალას, რასაც გავდიოდით მოდულების სახით კოლეჯში.

ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ჯაჭვი ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაში წარმატებას. თუკი ჯაჭვის თითოეული რგოლი თანმიმდევრულად მუშაობს, ეს იქნება წარმატების მომტანი ყველასთვის. მე მყავდა შესანიშნავი აგრონომი და ინსტრუქტორი და ჩვენი ყველა დღე იყო კარგად დაგეგმილი. ყოველდღიურად ვავსებდით სტუდენტების დღიურს და ვაკეთებდით ჩანაწერებს შესრულებული სამუშაოს შესახებ, ასევე შუალედურად გვაფასებდა ინსტრუქტორი და აგრონომი, რომ გამოვლენილიყო ჩვენი უნარები პრაქტიკული სწავლების პერიოდში. თუ ადამიანი ვერ გამოავლენს საჭირო უნარს, რა თქმა უნდა, კომპანია არ დაინტერესდება მისით, როგორც მომავალი კადრით და სტუდენტიც დროს ტყუილად არ დაკარგავს, თუ ეს ეცოდინება წინასწარ. ასეთი მოტივაციით ფეხი ავუწყვეთ თანამედროვე გამოწვევებს ამ სფეროში და მივიღეთ გარანტია, რომ ჩვენი შრომით, ხელფასით მიგვეღო სამომავლოდ პროფესიული კმაყოფილება. ასე თანმიმდევრულად, ყოველდღიურად, ყოველი დაგეგმილი დღით ხდებოდა ჩვენი წინსვლა და განვითარება. აგრონომთან და ინსტრუქტორთან ერთად მივიღეთ კვალიფიციური განათლება მეხილეობის სფეროში, ასევე მევენახეობის სფეროში, იმიტომ რომ კომპანიას სჭირდებოდა მევენახეობის სპეციალისტებიც კონსულტანტებად. ესეც ნაყოფიერად გავიარეთ ჩვენი მასწავლებლების დახმარებით და კოლეჯის ხელშეწყობით.

რა სიახლეები და გამოწვევები გხვდებოდათ სწავლის პროცესში და როგორ რეაგირებდით ამ გამოწვევებზე?

ერთ-ერთი სიახლე, რაც გამოვცადეთ ჩვენი საქმიანობის და პრაქტიკული კურსის დაწყებისთანავე, იყო სოციალური გვერდის შექმნა ფეისბუკზე, სადაც ვაკეთებდით ჩანაწერებს და აღვწერდით ყველა შესრულებულ სამუშაოს. ასევე ყოველდღიურად ვაანონსებდით გვერდზე მომავალი დღის გეგმას – სად უნდა წავსულიყავით, რომელ ფერმერთან მივდიოდით, რა ვისწავლეთ იმ პერიოდისთვის და ვტვირთავდით ფოტომასალასაც, რომ ყველაფერი ყოფილიყო უფრო თვალსაჩინოდ. არასასურველი კლიმატური პირობების გამო, როცა პრაქტიკულ სწავლებას ვერ გავდიოდით ნაკვეთებზე, „კაკლისის“ ფილიალში ვესწრებოდით და ვისმენდით სემინარებს აგრონომისგან და ინსტრუქტორისგან. არცერთი დღე უქმად არ დაგვიკარგავს. ნაყოფიერად გავატარეთ სწავლების პრაქტიკული დღეები. ასევე გვქონდა შემთხვევები, როდესაც ფერმერებთან მივდიოდით და ჩვენს „ჟურნალისტურ“ დღიურს ვუზიარებდით და ვურჩევდით, რომ

მათაც გაეკეთებინათ დღიურები სამომავლოდ; ჩაეწერათ ყველა ოპერაცია, რაც დაეხმარებოდათ თავიანთი ბიზნესის და წარმოების განვითარებაში. კომპანია „კაკ-ლისს“ აქვს ფერმერთა აკადემია, სადაც ფერმერები ხვდებიან სპეციალისტებს და ახალ ცოდნას იძენენ. ჩვენ დავესწარით ფერმერთა აკადემიის ყველა შეხვედრას და გადმოგვეცა სერტიფიკატები. მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი ცოდნა და თვალსაწიერიც იზრდებოდა.

განათლება ადამიანის ცხოვრებას ცვლის. როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება, თქვენი პიროვნება პროფესიულმა განათლებამ?

პროფესიულმა განათლებამ ძალიან შეცვალა ჩემი ცხოვრება და მომიტანა ახალი სამსახური, რომელიც სიამოვნებას მანიჭებს. მე დაბეებული კადრი ვიყავი კომპანიისთვის, 5-6 თვის შემდეგ კომპანიამ ჩამსვა შტატში და დღეს უკვე მაქვს სრული ანაზღაურება. პროფესიულმა განათლებამ მომცა სპეციალისტის კვალიფიკაცია, კვალიფიციური განათლება, უნარები და შემიძლია ამ კომპანიიდან წასვლის შემდეგაც სხვაგან გავაგრძელო ჩემი პროფესიით მუშაობა. გარდა იმისა, რომ პროფესიულ განათლებას იღებ ვიწრო სფეროში ან რაღაც გარკვეული ხაზით, პიროვნების თვალსაწიერი იზრდება, იზრდება სოციალური ურთიერთობები, ვითარდება ზოგადი უნარები და საბოლოოდ ეს ყველაფერი გვეხმარება, ჩვენი ცხოვრების გზა მოვნახოთ და ვიყოთ პროფესიონალები იმ საქმეში, რასაც წამოვიწყებთ.

რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ? ხომ არ გეგმავთ ცვლილებებს თუნდაც ისევ პროფესიული განვითარების კუთხით?

მე არ მინდა, გავჩერდე ამ პოზიციაზე. მსურს, გავიარო მეტი პრაქტიკული კურსი. ძალიან მაინტერესებს სანერგე მეურნეობებში მუშაობა სამეცნიერო თვალსაზრისითაც. ვფიქრობ, რომ ამ კუთხით შემიძლია განვვითარდე და უფრო მეტი ცოდნა მივიღო. მინდა ლაბორატორიებში მუშაობა და მსურს, ღრმად შევისწავლო აგრომეცნიერება. წარმატება დამოკიდებულია ადამიანზე და მის მონდომებაზე – რამდენად ვართ მიზანდასახულები, როგორ განვვითარდებით და როგორ ვიმუშავებთ.

სხვებს რას ურჩევდით, რატომ არის მნიშვნელოვანი პროფესიული განათლება ახალი ცხოვრების დასაწყებად?

პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული არის ცოცხალი მაგალითი სხვა ადამიანებისთვის. მე ვარ ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი მისთვის, ვინც ეძებს სამსახურს, ეძებს პროფესიას. კარგია, იცოდეს, რომ ამისთვის არსებობს პროფესიული განათლება. მათთვის, ვინც ეძებს ახალ პროფესიას, კარიერულ წინსვლას ცხოვრებაში, ვისაც უნდა თავის თავზე და უნარებზე მუშაობა, არსებობს დუალური პროგრამები, რომლებიც შედის პროფესიულ განათლებაში. ყველას ვურჩევდი, რომ ნუ იქნება მათთვის აკვიატებული იდეა უმაღლესი განათლება, რადგან პროფესიული განათლებითაც შეიძლება ძალიან კარგად გაიკაფო გზა და მიაღწიო წარმატებას ცხოვრებაში, ასევე იყო შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული კადრი. მინდა, დავარწმუნო ყველა ადამიანი, რომელმაც ხელი ჩაიქნია და ფიქრობს, რომ არასწორად აირჩია პროფესია – მას აქვს ამის შეცვლის საშუალება პროფესიული განათლებით.

პანდემიის გავლენა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლო საწარმოებში

მაია არაკვიაშვილი, ნინო ელბაქიძე

მთელ მსოფლიოში პანდემიამ საგანმანათლებლო სისტემები უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა: პანდემიამ დიდი გავლენა იქონია საგანმანათლებლო სივრცეზე. რეგულაციებმა და შეზღუდვებმა პროფესიული სასწავლებლები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რისთვის პასუხის გაცემა და შეცვლილ გარემოზე რეაგირებაც უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა. იმისათვის, რომ სიტუაციის შესაბამისი რეკომენდაციები შეგვემუშავებინა, აუცილებელი გახდა, გვცოდნოდა, როგორია არსებული სიტუაცია, რა გამოწვევები დააყენა ე.წ. ლოქდაუნმა სასწავლებლების, მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე. აუცილებელია გახდა, გვესაუბრა მათთან, რათა გაგვეგო, როგორია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ყოველდღიურობა პროფესიულ განათლებაში, რა სახის დახმარება ესაჭიროებათ მათ, რათა პროცესები არ შეჩერდეს და პროფესიული განათლება განვითარების გზას არ ჩამორჩეს, მიუხედავად ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული განსაკუთრებული მდგომარეობისა. მოკლედ რომ შევაჯამოთ, პროფესიულ განათლებაში სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე პანდემიის გავლენის შესაფასებლად და სრული სურათის წარმოსაჩენად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ კვლევის ჩატარება, რაც სამომავლოდ საშუალებას მოგვცემდა, შემხვედრი ნაბიჯები საჭიროებაზე მორგებით გადაგვედგა.

პირველ რიგში, საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის და ტენდენციების განსასაზღვრად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თვისებრივი კვლევის, კერძოდ კი ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენება, რომელმაც მოიცვა შემდეგი სამიზნე ჯგუფები: პედაგოგები, საწარმოს ინსტრუქტორები, პროფესიული კოლეჯების ხარისხის მენეჯერები და სტუდენტები. გარდა ამისა, ინფორმაციის სრულად შევსების მიზნით, რაოდენობრივი კვლევის ონლაინ-ანკეტირების მეთოდით გამოვკითხეთ პროფესიული სასწავლებლების დირექტორები, მასწავლებლები და საწარმოს ინსტრუქტორები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, დუალური პროგრამების დანერგვა-განხორციელებაში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა როგორც განსხვავებული, ისე საერთო გამოწვევები და გამოცდილებები, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა რეკომენდაციების შესამუშავებლად, განსაკუთრებულ გარემოში სასწავლო და საწარმოო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის.

ხარისხის მენეჯერებისთვის, მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის გამოიკვეთა საერთო ტენდენცია დისტანციურ სწავლებასთან მიმართებით. ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად დასახელდა გამოცდილების დეფიციტი ტექნიკური და მეთოდური თვალსაზრისით, რაც გულისხმობდა ონლაინსწავლების საჭირო უნარების არასაკმარისად ქონას; ასევე, შესაბამისი ტექნიკისა თუ ინტერნეტის პრობლემას, რომელიც უზრუნველყოფდა დისტანციური სწავლების წარმატებულად წარმართვას.

„პირველი პრობლემა ის იყო, რომ მასწავლებლებს ტექნიკურად მართლაც არ ჰქონდათ გამოცდილება ამგვარი ტიპის სალექციო პროცესის ჩატარებისა“. [ხარისხის მენეჯერი]

„ტექნიკურად არ არიან აღჭურვილები. 95% გვერთვება ტელეფონით“. [მასწავლებელი]

სოფლიდან არიან ბავშვები, სადაც ინტერნეტის წვდომა არა აქვთ, საშუალება, რომ ყოველთვის იყიდონ ინტერნეტი. კიდევ ხან დენი გამოირთვება... მოკლედ, კარგი იქნება, უზრუნველყოფილი რომ იყოს და სივრცე ჰქონდეს თავისი და ტექნიკური აღჭურვილობა. [მასწავლებელი]

„იყვნენ მასწავლებლები, რომლებსაც საერთოდ არ ჰქონდათ შეხება ინტერნეტსივრცესთან“. [მასწავლებელი]

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და სტუდენტებისთვის კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა სასწავლო რესურსების სიმწირე, რომელიც ხელს უშლიდა სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას. შედეგად, სახეზე იყო სტუდენტების დემოტივაცია, რაც მათ ჩართულობაზე აისახებოდა. რაც შეეხება სწავლებაში ჩამორჩენას, პედაგოგები და სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ხდებოდა სტუდენტების ინდივიდუალური მხარდაჭერა, ასევე მაღალი დასწრების მხარდასაჭერად და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათთან შეთანხმებით აწყობილი ცხრილის შეთავაზება.

„თუ სტუდენტს უნდა ცოდნის მიღება, უნდა თქვას, რა უნდა ან რა ვერ ისწავლა, რაში სჭირდება დახმარება და ა.შ. და ჩვენ მზად ვართ. მემ-

გონი, ნებისმიერი პედაგოგი ამაზე უარს არ იტყვის“. [მასწავლებელი]

„იყო ხარვეზები. უშუქობის გამო, ხან ჩართვის პრობლემა იყო ხოლმე, ამიტომ ხშირად გვიწევდა სასწავლო მასალების გადაგზავნა ბავშვებისთვის. რაღაცის ახსნა რომ ჭირდებოდათ ბავშვებს, ინდივიდუალური ჩართვები გვქონდა ხოლმე მესენჯერით, ან სატელეფონო დაკავშირება. ჯგუფები აქვთ ბავშვებს შექმნილი და ამ ჯგუფებში გვქონდა სხვადასხვა საკითხების განხილვის შესაძლებლობა“. [მასწავლებელი]

ხარისხის მართვის მენეჯერების გამოცდილება, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, განსხვავებული იყო. ისინი ცდილობდნენ სასწავლო პროგრამაში ცვლილებების შეტანას, თეორიული კურსების წინ წამოწევას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტების იმ დროისათვის გადადებას, როცა პანდემია საშუალებას მისცემდა საწარმოებს, ადგილზე გაეგრძელებინათ საქმიანობა. ხარისხის მენეჯერები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის სერიოზული გამოწვევა იყო კურსის წინაპირობის არსებობა, რომელიც უზღუდავდა მენევრირების შესაძლებლობას, რის გამოც კოლეჯს მოუწია პროგრამის გაჩერება.

„ძირითადი პრობლემა იყო ის, როდესაც წინაპირობა იყო რომელიმე მოდული შემდეგი მოდულების. ამ შემთხვევაში სანამ შედეგი ვერ დადასტურდება, მათ დაშვება არ აქვთ შემდეგ მოდულზე. ამიტომ მოგვიწია გაჩერება პროგრამების. როდესაც წინაპირობა არ არის და აქვს შესაძლებლობა, რომ დაადასტუროს პროგრამის მსვლელობაში შედეგი, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დისტანციური სწავლების გაგრძელება და დავიტოვეთ შედეგების დასადასტურებლად საათები“. [ხარისხის მენეჯერი]

რაც შეეხება, რეკომენდაციების ნაწილს, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სასურველი იქნება ჰიბრიდული მოდელის შემუშავება, რაც გულისხმობს შერეულ სწავლებას – თეორიული კურსების დისტანციურად, ხოლო პრაქტიკულის ადგილზე გავლას რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თითქმის ყველა მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და სტუდენტების გადამზადება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. მნიშვნელოვანი იყო ასევე ინტერნეტის ხელმისაწვდომი ტარიფებით მხარდაჭერა და ტექნიკის არქონის შემთხვევაში სწავლა-სწავლებაში ჩართული მხარეებისათვის ლეპტოპების დროებით მოხმარებაში გადაცემა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდა, ხარისხიანად წარემართათ სწავლა-სწავლების საქმიანობა.

დახმარების ტიპების მიმართ რესპონდენტების განწყობები იხილეთ დიაგრამაზე.

კვლევისას გამოვლინდა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ნიშანდობლივია ამ სფეროსათვის. პანდემიამ გავლენა იქონია თითოეულ ჯგუფზე, რაც აისახა როგორც სწავლების ხარისხზე, ასევე განწყობებსა და სწავლის შედეგებზე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პირობებში. კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს, რომ შემუშავდეს რეკომენდაციები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, სწავლა-სწავლების პროცესის ახლებურად გაანალიზებისათვის, კრიზისულ პირობებში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისათვის.

გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება რა მიმართულებით მიგაჩნია სხვადასხვა ტიპის დახმარება მიზანშეწონილი?



ხარისხის მართვის მენეჯერები

ხარისხის მართვის მენეჯერების მიერ მთავარ გამოწვევად დასახელდა დისტანციური სწავლების მხრივ გამოცდილების არქონა. მათ მოულოდნელად მოუწიათ სასწავლო გეგმების შეცვლა, თეორიული მასალების დისტანციურად სწავლებისათვის გადაწყობა, პრაქტიკული მეცადინეობების შეჩერება ისეთ შემთხვევებში, როცა სასწავლო საწარმოებმა შეაჩერეს მუშაობა. თეორიული სწავლების პირობებში სწავლის გაგრძელება რთული აღმოჩნდა იმ დროს, როდესაც თეორიულ კურსზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებდა ისეთი კურსის გავლას, რომელიც შეჩერებული იყო. ამგვარად შეიქმნა ერთგვარი „საცობი“ სასწავლო პროცესში, რომელიც წინ ვერ მიდიოდა „ლოქდაუნის“ გამო.

არსებულ სიტუაციაში ხარისხის მართვის მენეჯერებმა მიიღეს სხვადასხვა ზომა, რათა სასწავლო პროცესი არ გაჩერებულიყო, კერძოდ: მათ დაიწყეს სასწავლებლის ბაზაზე მასწავლებელთა მხარდაჭერა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში. მასწავლებლებს, რომლებსაც უჭირდათ ონლაინრეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვა, ჩაუტარდათ ტრენინგები. ხარისხის მართვის მენეჯერებმა ასევე აღნიშნეს, რომ ონლაინსწავლება ზოგიერთ შემთხვევაში ხელსაყრელი იყო პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისათვის. სატრასნსპორტო შეზღუდვის პირობებში ეს იყო ერთადერთი გზა მათთვის სწავლის გასაგრძელებლად. თუმცა იმ კურსებზე, სადაც გათვალისწინებული იყო საწარმოო პრაქტიკა და საწარმოებმა ფუნქციონირება დროებით შეწყვიტეს, სასწავლო პროცესიც შეჩერდა. შემუშავდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა, რაც გულისხმობდა სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესზე დასწრების აღრიცხვას.

ხარისხის მართვის მენეჯერები გვთავაზობენ, რომ შემუშავდეს სამომავლოდ შერეული/ჰიბრიდული მოდელით სწავლება, რადგან სტუდენტებისთვის ეს მიდგომა კომფორტულია და მათ სწავლებისა და დასაქმების/პრაქტიკის შეთავსებას უადვილებს. მათი მოსაზრებით, გადასამზადებელნი არიან პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ადმინისტრაცია დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიაში, ასევე ისტ-ის მიმართულებით; შესამუშავებელია შეფასების სისტემა დისტანციურ რეჟიმში სწავლების ფორმატზე მორგებით. ისინი ისურვებდნენ, რომ მიიღონ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შესახებ ეფექტიანი რეკომენდაციები.

პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლები

მასწავლებლებისათვის მთავარი გამოწვევა გახდა ორი მიმართულება: 1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა ონლაინსწავლებისათვის და 2. სწავლების ინტერაქტიული მეთოდები დისტანციურ რეჟიმში სწავლებისას. პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებს მანამდე არ ჰქონიათ დისტანციურად სწავლების გამოცდილება, რაც მათთვის, ბუნებრივია, სერიოზული გამოწვევა გახდა. მიუხედავად ამისა, მათ მოახერხეს თეორიული მასალის ონლაინრეჟიმზე გადაწყობა, მაგრამ სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი მაინც არასათანადო და გაუკონტროლებელი დარჩა. დისტანციური სწავლების დროს საჭირო გახდა სასწავლო რესურსების ადაპტირება და სპეციალურ რეჟიმზე მორგება. ამ მხრივ მასწავლებლებს სისტემური და კვალიფიციური კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ასევე, დაბალი ხარისხის ინტერნეტ-სიხშირე სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას აძნელებდა.

მასწავლებლებისათვის სტრესული აღმოჩნდა დროის მენეჯმენტიც, რადგან სასწავლო პროცესი ხშირ შემთხვევაში დაიგეგმა/გადაიგეგმა სტუდენტების საჭიროებების მიხედვით. სახლიდან მუშაობამ და სასწავლო პროცესის სახლიდან წარმართვამ მასწავლებლებს გაუძნელა მუშაობისა და დასვენების დროის რეგულირება და ისინი მუდმივად მუშაობის რეჟიმში იმყოფებოდნენ.

მასწავლებლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ პანდემიის დროს სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვამ გაზარდა სტუდენტთა ჩართულობა და მოტივაცია. თუმცა ამავე მიდგომამ მასწავლებლები დროის განაწილების თვალსაზრისით სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა და ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც თავად აღნიშნავენ, მათი გამოფიტვაც კი გამოიწვია მუდმივი მუშაობის რეჟიმის გამო. სტუდენტების მოტივაციის შესანარჩუნებლად მასწავლებლები მიმართავდნენ მუდმივი უკუკავშირის მეთოდს და ასევე იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით მათ დახმარება ესაჭიროებათ.

პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებს ესაჭიროებათ პროფესიული განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით: ისტ-ის გამოყენებასა და ონლაინსწავლების მეთოდიკაში. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ონლაინ სასწავლო რესურსების მომზადებაში.

მასწავლებლების აზრით, უნდა მოხდეს პროფესიული სასწავლებლების იმგვარი მხარდაჭერა ტექნოლოგიებით, რომ მათ შეძლონ დაეხმარონ სტუდენტებს, თუკი დისტანციური სწავლება მომავალშიც გაგრძელდება.

კომპანიის / საწარმოს ინსტრუქტორები

კომპანიის ინსტრუქტორებზე პანდემიის გავლენა ყველაზე უფრო დიდი აღმოჩნდა დასახელებულ სეგმენტებს შორის. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება სულ რამდენიმე წელია, რაც ინერგება საქართველოს განათლების სისტემაში და შესაბამისად, კომპანიის ინსტრუქტორები ახალი გამოცდილებით შემოვიდნენ პროფესიული განათლების სისტემაში. პანდემიამ და ლოქდაუნმა მათ წინაშე მრავალი გამოწვევა დააყენა. საწარმოების ნაწილი გაჩერდა და შესაბამისად, შეჩერდა სტუდენტების სწავლების პროცესიც. ტრანსპორტის შეზღუდვამ იმ საწარმოებშიც შეაჩერა სასწავლო პროცესი, სადაც მუშაობა შეზღუდვების პირობებშიც მეტ-ნაკლებად გრძელდებოდა. კომპანიის ინსტრუქტორები სასწავლო რესურსების სიმწირეს უჩივიან. მათ სტრესულ გარემოში მუშაობა და

სწავლება უწევთ. კომპანიის ინსტრუქტორების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სასწავლო გეგმაში თეორიული და პრაქტიკული სწავლების სინქრონიზაციის ნაკლებობაა. ისინი თვლიან, რომ სასწავლო გეგმები გადახედვას საჭიროებენ ამ თვალსაზრისით. მათი თანამშრომლობა პროფესიულ სასწავლებელთან და მასწავლებელთან აუცილებელია. კომპანიის ინსტრუქტორები საუბრობენ ასევე დემოტივირებულ სტუდენტებზე, რომლებზეც პანდემიამ განსაკუთრებით არასახარბიელოდ იმოქმედა. ისინი ანაზღაურებას არ იღებენ გაწეულ სამუშაოში და ამიტომ ენთუზიაზმზე მუშაობა უწევთ.

კომპანიის ინსტრუქტორების ნაწილმა სტუდენტებს მხარდაჭერა აღმოუჩინა, მაგ., ტრანსპორტირების თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც აკრძალული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მათ სტუდენტები საკუთარი ავტომობილებით გადაჰყავდათ სასწავლო საწარმოში. თუკი სტუდენტებს სწავლაში ჩამორჩენა ჰქონდათ, ინსტრუქტორები მათ ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევდნენ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ზოგიერთ ინსტრუქტორს პროფესიულმა კოლეჯმა მასწავლებლის ადგილი შესთავაზა, სადაც ისინი დასაქმდნენ და ინსტრუქტორისა და მასწავლებლის ფუნქციებს ითავსებდნენ.

კომპანიის ინსტრუქტორები პროფესიული გადამზადების კურსებს საჭიროებენ, სწავლების მეთოდებისა და სტუდენტთა შეფასების მხრივ. ისინი ფიქრობენ, რომ ასევე აუცილებელია მცირედი ანაზღაურება ინსტრუქტორების მოტივაციის ასამაღლებლად. საწარმოები, რომლებიც დუალურ განათლებაში არიან ჩართული, საჭიროებენ სხვადასხვაგვარ წახალისებას, მათ შორის საგრანტო კონკურსებში ბონუსქულებით დაჯილდოებას. საწარმოს ინსტრუქტორების მოტივაციისათვის ასევე საუკეთესო მაგალითი იქნება საერთაშორისო გამოფენებზე თუ სტაჟირებებზე მივლინება.

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის ონლაინრეჟიმზე გადასვლა რთული აღმოჩნდა ემოციური თვალსაზრისით. უტრანსპორტობამ და დისტანციურად სწავლებამ უარყოფითად იმოქმედა მათი სწავლის მოტივაციაზე. სტუდენტები უჩივიან სასწავლო რესურსების სიმწირესაც. ონლაინსწავლაში ჩართვისას მათ პრობლემები შეექმნათ არასათანადო ტექნოლოგიების გამო. გამართული ტექნიკური მოწყობილობა, მაღალი სიხშირის ინტერნეტი და სამუშაო სივრცის არქონა უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტების სწავლაზე. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ არ ჰქონდათ ემოციური მზაობა, ჩაკეტილ რეჟიმში ესწავლათ და მოკლებული იყვნენ იმ სოციალურ ურთიერთობებს, რომლებსაც ითვალისწინებს სტუდენტური ცხოვრება.

ამ პირობებში მათ მიიღეს ემოციური მხარდაჭერა მასწავლებლებისა და ინსტრუქტორებისაგან. მასწავლებლები მათ საჭიროებებზე მორგებით გეგმავდნენ სასწავლო პროცესს, ხოლო ინსტრუქტორები ეხმარებოდნენ ტრანსპორტით გადაადგილებაში.

სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მათი მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია ტრენინგკურსების შეთავაზება და დიფერენცირებული სერტიფიკატების გადაცემა. პროფესიულმა სასწავლებლებმა უნდა მოახერხონ სტუდენტების ტექნიკური საშუალებებითა და ინტერნეტის ხელმისაწვდომი ტარიფებით მხარდაჭერა. მათ ესაჭიროებათ ისეთი სასწავლო რესურსებით მხარდაჭერა, როგორიცაა გზამკვლევები და ვიდეორგოლები, ასევე გამოცდილების გასამდიდრებლად და მოტივაციის ასამაღლებლად – სხვა კოლეჯებსა და საწარმოებში ვიზიტები.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში განმტკიცდა ის ტენდენციები, რომლებიც თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა. კერძოდ:

გამოწვევები

რესპონდენტები თვლიან, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისას პრაქტიკული კომპონენტი არ არის გათვლილი დისტანციურ სწავლებაზე, სიძნელეს წარმოადგენს ასევე სტუდენტების შეფასება. გამოწვევად რჩება სტუდენტების გამორთული კამერები, რაც ხშირად მათი პასიური ჩართულობის მიზეზია. ციფრული კომპეტენციები და ტექნიკის არქონა სასწავლო პროცესს ართულებს. სტუდენტების ნაწილი რეგიონებიდანაა, სადაც ინტერნეტის წდომა არ არის, ან არა აქვთ კომპიუტერი თუ სხვა მოწყობილობა, პლანშეტი, სმარტფონი. ასევე გამოწვევად რჩება სასწავლო რესურსების არქონა.

გამოწვევებთან გამკლავების გზები

გამოწვევებთან გამკლავების ერთ-ერთი გზა სასწავლებლის ბაზაზე საკუთარი ძალებით ტრენინგების ჩატარებაა; ასევე მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ტექნიკის დროებით მოხმარებაში გადაცემა; მასწავლებლებისათვის დისტანციურ ფორმატში ლექციების ჩასატარებლად კოლეჯის ბაზაზე შესაბამისი სივრცეების გამოყოფა. ეფექტიანია ასევე სასწავლო გეგმის მორგება სწავლების ფორმატზე; სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტების მოტივაციის ზრდას. აუცილებელია, რომ შემუშავდეს სასწავლო პორტალის მოხმარების ვიდეოგზამკვლევები. ამგვარი გზამკვლევები მნიშვნელოვნად დაეხმარება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, ისევე, როგორც მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა გადამზადება ონლაინსწავლების მეთოდიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში.

დისტანციურ ფორმატში თეორიული კურსების წარმატებით დანერგვისათვის აუცილებელია მასწავლებლებისა და სტუდენტების გადამზადება ისტ-ის გამოყენებაში, კოლეჯების ტექნიკურად უზრუნველყოფა, სტუდენტების მდგომარეობის გათვალისწინება, ასევე ონლაინსწავლებაზე მორგებული სასწავლო რესურსების შეთავაზება. საწარმოს ინსტრუქტორების მოტივაციის ასამაღლებლად და მათი შრომის დასაფასებლად კი საჭიროა მცირედი ანაზღაურება და პროფესიული განვითარებისა თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით სტაჟირებებსა და გამოფენებზე მივლინება.

ია მიმიბერია

პროფესიული განათლების ისტორიული წინამძღვრები საქართველოში

პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. არაერთი ხელობა, რომელიც დღეს პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლება, საქართველოს შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

ძველად საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელობის ცოდნას. სწორედ ამ მიზნით ისიც უნდა ითქვას, რომ შეგირდები არა მხოლოდ მატერიალურად გაჭირვებული, არამედ მდიდარი ოჯახის შვილებიც იყვნენ. მდიდარი მამები წინდახედულებას იჩენდნენ და შვილებს ოსტატს იმ მიზნით აბარებდნენ, რომ შესწავლილი ხელობა ცხოვრებისეული ძნელბედობის ჟამს თავის გასატანად გამოეყენებინათ.

მშობლები რომელიმე ოსტატს თავიანთ შვილებს მცირე ასაკშივე აბარებდნენ, მომავალში რომ მათ თავის რჩენა შესძლებოდათ და როგორც ხშირად ამბობდნენ, „კაცი გამოსულიყო“. მშობლების მიმართვა ოსტატებისადმი ასე ჟღერდა: „ძვალი ჩემი, ხორცი შენი – გამიზარდე შვილი, ოსტატო!..“ თუმცა

ამქარი

ძველად მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანებას „ამქარი“ ეწოდებოდა. „ჰამქარ“ სპარსული სიტყვაა და თანამოსაქმეობას ნიშნავს. ეს ტერმინი საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოდან დამკვიდრდა და „ამქარმა“ სიტყვები „ასნაფი“ და „თაბუნი“ ჩაანაცვლა. აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქალაქებში ამქრული ორგანიზაციები ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არსებობდა. ასეთივე ორგანიზაციები IX საუკუნიდან ბიზანტიის ქალაქებშიც ფუნქციონირებდა. მართალია, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ამ საკითხზე არავითარ ცნობებს არ გვაწვდის, მაგრამ ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ საქართველოში ამქრული ორგანიზაციები ამავე პერიოდში წარმოიშვა. ხელოსნების თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა. ამქრებს თბილისში ცალ-ცალკე ქმნიდნენ: ხუროები, მეპურეები, ზეინკლები და ა.შ. სხვადასხვა დარგის ხელოსნებს ცალ-ცალკე ქუჩები ეკავათ. XIX საუკუნის პირველი წლების შესახებ კლაპროტი წერდა: „თბილისის ბაზარზე სხვადასხვა დარგის ხელოსნებია. ერთი ქუჩა მხოლოდ მეფეხსაცმელეებს უჭირავთ, მეორე – მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს, ოქრომჭედლებს, იარაღის მკეთებლებს. ყველანი აქ მუშაობენ ყველას თვალწინ“. ამ ორგანიზაციაში შესვლა განურჩევლად წოდებისა ყველას შეეძლო.

დროშა და წესდება

ყველა ამქარს თავისი დროშა ჰქონდა, რომელზეც გამოსახული იყო ფირი, ანუ გერბი, ემბლემა. ეს ფირი წარმოადგენდა ამქრის სიმბოლოს. თითოეულ ამქარს თავისი მფარვე-

ლი წმინდანი ჰყავდა. მაგალითად, ხარაზების დროშაზე გამოსახული იყო ელია (ილია წინასწარმეტყველი), დაბაღებისაზე – ღვთისმშობელი, სირაჯებისაზე – ნოეს კიდობანი და სხვა. ხუროებმა, ხარაზებმა და დურგლებმა თავიანთ დროშას შემდეგ მტრედიც მიუმატეს.

ამქრის უმეტესმა ნაწილმა „წიგნი არ იცოდა“. წერა-კითხვის უცოდინარ ხელოსნებს საკუთარი ნიშნები ჰქონდათ, რომლებითაც საკუთარ „ბუღალტერიას“ აწარმოებდნენ და ჯვარედინი, სწორი, მრუდე ხაზითა და სხვა ნიშნებით მანეთებსა და თუმნიანებს აღნიშნავდნენ.

თითოეულ ამქარს საკუთარი წესდება ჰქონდა, სადაც მკაცრად იყო დაცული კოლეგიალობა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ამქრის წევრი ხელს არ ახლებდა მეგობრის მიერ დაწყებულ სამუშაოს. მაგალითად, ერთი თერძის მიერ დახაზულ და დაჭრილ ახალუხს მეორე არ შეკერავდა და ა.შ. ასევე აკრძალული იყო შეგირდისა და ქარგლის გადაბირება.

ამქრის წევრების მოვალეობას შეადგენდა გარდაცვლილი მეგობრის დაკრძალვაც ამქრის ხარჯით. როცა ამქრის რომელიმე წევრი გარდაიცვლებოდა, იმ ხელობის დუქნები პატივისცემის ნიშნად იკეტებოდა და თავს გარდაცვლილის ოჯახში იყრიდნენ. ასევე უძველესი დროიდან, ქალაქში გავრცელებული სხვადასხვა ეპიდემიის დროს, ამქრები თბილისში რჩებოდნენ და ავადმყოფებსა და მკვდრებს პატრონობდნენ. ამქრის წესდებაში აღნიშნული იყო ქვრივ-ობოლთა მოვლა-პატრონობაც, რომელსაც ისინი ყოველთვის ასრულებდნენ.

შეგირდი

ოსტატთან მიბარებული შეგირდი, ვიდრე ქარგალი გახდებოდა, თავისი ხელობის გარდა, სხვა საქმესაც ასრულებდა: უფროს ოსტატს ხელზე ემსახურებოდა, დუქანს გვიდა, სახლიდან დუქანში სადილს ეზიდებოდა და ა.შ. შეგირდს ჯამაგირს არ უხდიდნენ. ოსტატი მას მხოლოდ პურს, ანუ სადილს აჭმევდა და ხშირ შემთხვევაში მის ჩაცმა-დახურვაზეც ზრუნავდა. როცა შეგირდი ხელობას შეისწავლიდა, წლიური ხელფასი ენიშნებოდა. ხელობის შესასწავლად დრო დათქმული არ იყო, მაგრამ ჩვეულებრივ, შეგირდი თავის ხელობას 5-6 წელიწადში ეუფლებოდა, რაც, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო მის ნიჭიერებასა და ხელობის სირთულეზე. შეგირდების მიბარების ასაკი მკაცრად განსაზღვრული არ იყო. მიბარება ძირითადად 8-13 წლის ასაკში ხდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ჩვეულება, რომელსაც თურმე ხელოსნები შეგირდის პატიოსნების გამოსაცდელად მიმართავდნენ: დუქანში განზრახ აგდებდნენ ფულს და მერე ჩუმად უთვალთვალებდნენ შეგირდის ქცევას – დუქნის დაგვისას ფულს აიღებდა და მიითვისებდა თუ ოსტატს ნაპოვნი ფულის შესახებ აუწყებდა.

ქარგალი

რაც შეეხება შეგირდობის მეორე საფეხურს, ანუ ქარგლობას, ის „აღსაზრდელს“ ხელოსნის ხარისხის მიღებამდე უნდა გაევლო. ქარგლის სახელის მინიჭებისას ოფიციალური ცერემონია იმართებოდა. ხელოსანი ექსპერტად იწვევდა უსტაბაშს, აღსაჰკალს, იგითბაშს და ამქრის რამდენიმე საპატიო წევრს. ისინი შეგირდის ნახელავს ამოწმებდნენ და შესაბამისი დასკვნა გამოჰქონდათ. თუ ნახელავს მოიწონებდნენ, შეგირდს ქარგლის ხარისხი ეძლეოდა, თუ არა და, ის კვლავ შეგირდად რჩებოდა მანამ, სანამ ნამუშევრებს საუკეთესოდ არ შეასრულებდა.

ქარგალი შეგირდისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ უფლება ჰქონდა,

რომელ ხელოსანთანაც მოისურვებდა, იმასთან ემუშავა. შეგირდი კი იმ ხელოსანთან უნდა დარჩენილიყო, ვისთანაც მშობლები მიაბარებდნენ. ქარგალი შეზღუდული იყო ერთ რამეში: არ შეეძლო, ხელოსნის დუქნის გარეშე, დამოუკიდებლად ემუშავა ან ხელოსნის დაუკითხავად შეკვეთები მიეღო. როგორც კი ხელოსანი სრულუფლებიანი ოსტატი ხდებოდა, მაშინ ისიც ასევე ექცეოდა თავის ხელქვეითებს, შეგირდებსა და ქარგლებს.

ხელოსნად დალოცვა

ხელოსნად დალოცვა კი ასე ხდებოდა: წელიწადში ერთხელ, აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში, ამქართა სადღესასწაულო დღეები იმართებოდა. ერთი დარგის ხელოსნები სახელოსნოსთან იკრიბებოდნენ, აიღებდნენ ხელში დროშას და ზურნის თანხლებით წინასწარ დათქმული ბაღისკენ მიემართებოდნენ. დასალოცად გამზადებულნი, ამქრის წევრებს წინ მიუძღოდნენ და წელზე აბრეშუმის სარტყელი ერტყათ, სადაც დამაგრებული ჰქონდათ თავიანთი ხელსაწყო-იარაღები: ხარაზებს – მუშტა, დურგლებს – თარაზო, ოქრომჭედლებს – სიმქაში და სხვა. დალოცვის შემდეგ ეს სარტყელი უსტაბაშს გადაეცემოდა. ბაღში მისულნი ქეიფს იწყებდნენ. ერთ მხარეს დიდ ქვაბში შილაფლავი მზადდებოდა, მეორე მხარეს კი „სუფრაზე“ ვაზის, ლეღვის ან კომბოსტოს ფოთლები ელაგა, ჭიქების ნაცვლად კი თიხის ფიალები იყო ჩამწკრივებული. ირგვლივ სანთლები ენთო, რომლებიც ძირამდე უნდა ჩამწვარიყო. ასეთ ვითარებაში ხდებოდა ახალგაზრდა ქარგლის ხელოსნად დალოცვა, რომელიც მანამდე ნამდვილ ოსტატად და ამქრის სრულფასოვან წევრად არ ითვლებოდა. „დალოცვას“ მღვდელიც ესწრებოდა, რომელიც ხელოსანს ზნეობრივ დარიგებასა და სხვადასხვა რჩევას აძლევდა. საბოლოოდ ქარგალს ხელოსნის „ატესტატს“ უსტაბაში „გადასცემდა“. სამჯერ შემოკრული სილა უკვე ხელოსნის წოდებას აღნიშნავდა.

სილის შემორტყმას თავისი წესები ჰქონდა. სილა უსტაბაშსა და ქარგალს შორის უმცროს-უფროსობის უკანასკნელ მიჯნას აღნიშნავდა. უსტაბაში ხელოსანს ერთი ხელით ორივე ხელის ცერს უჭერდა და სილას ისე ურტყამდა – ჯერ მარჯვენა და მერე მარცხენა ლოყაზე, მესამედ ისევ მარჯვენა ლოყაზე, და უკანასკნელი სილა ყველაზე მაგარი უნდა ყოფილიყო. სილის შემოკვრას წინ უძღოდა „დალოცვა“: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი. ღმერთმა, როცა ყველა სულდგმული გააჩინა, შრომითა და რუდუნებით ისაზრდოვეთო... ღმერთმა გაშოროთ შური და სიბოროტე თქვენი ხელქვეითებისადმი... რას ემგვანებოდა წუთისოფელი, რომ ყველა კარგ ხელოსანს სიკვდილთან ერთად, თავისი ცოდნაც თან წაეღო?.. ღვთის შემწეობით ჩვენ შევიძინეთ ის ცოდნა, რაც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია, სხვას გადასცეს ის, რაც თვითონ იცის“... დალოცვის უკანასკნელი სიტყვები კი ასეთი იყო: „..და შენ, მორჩილო და ნამუსიანო შეგირდო! დღეის შემდეგ ატარებ ხელოსნის სახელს და გეძლევა უფლება, შენის ხელობით იარსებო. თვით სოლომონ ბრძენი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და ყველა წმინდანები ჰქადაგებენ, რომ ადამიანმა მხოლოდ პატიოსანი შრომით უნდა იცხოვროსო... იყავ გულმართალი და პატიოსანი, ეცადე, შენი შვილებიც ამ გზით წარმართო. პატიოსანი შრომა შეასწავლე შენს შეგირდებსაც და ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გექცევით, რათა საიქიოს იესო ქრისტეს წინაშე პირნათლად

წარდგე და განკითხვის დღეს თავისუფლად აღიარო: ღმერთო, აი, მოვედით ჩვენ ჩვენი შეგირდებით, რომლებმაც ნამუსიანად გავატარეთ ჩვენი ცხოვრების დღენი. ღმერთო! გაგვიღე სამოთხის კარი“. ყოველივე ამის შემდეგ ახალ ოსტატს უფლება ჰქონდა, ცალკე სახელოსნო გაეხსნა და საამისოდ ამქრის სალაროში სათანადო შესატანი – „გასაღები“ უნდა შეეტანა.

შუღლი

მიუხედავად იმისა, რომ ლოცვაში ჟღერდა სიტყვები „ღმერთმა გაშოროთ შური და მტრობა თქვენი ხელქვეითებისადმი“, არცთუ ისე იშვიათად შეგირდსა და ოსტატს შორის სხვადასხვაგვარი შუღლი მაინც ჩნდებოდა. ეს კი ძირითადად მოსწავლის მიერ მასწავლებელზე უკეთ შესრულებული ნამუშევრის გამო ხდებოდა. არსებობს ერთი ლეგენდა ოსტატსა და შეგირდზე, რომელიც ხერთვისის ციხის აგების შესახებ მოგვითხრობს: თამარ მეფემ ორ კალატოზს ორი კოშკის აშენება უბრძანა. ერთი უკვე ცნობილი ოსტატი იყო, ხოლო მეორე – მისი შეგირდი. პირველს აღმოსავლეთის კოშკი უნდა აეშენებინა, ხოლო მეორეს – დასავლეთის. მეფე დაჰპირდა, რომ უხვად დააჯილდოებდა მას, რომელიც უფრო ლამაზსა და კოხტა კოშკს ააგებდა. ოსტატი და შეგირდი საქმეს შეუდგნენ და ჯერ ოსტატს მუშაობა დასრულებული არ ჰქონდა, როცა ხალხმა ლაპარაკი დაიწყო – შეგირდის ნაშენები ოსტატის ნაშენებს სჯობსო. მართლაც, თამარს შეგირდის კოშკი უფრო მოეწონა და სანამ მშენებლობას დაამთავრებდა, მანამ დაასაჩუქრა შეგირდი. ოსტატს ეწყინა და გაბრაზდა. ერთ დღესაც, როცა შეგირდი კოშკის თავს ასრულებდა, მას კიბე გამოაცალა, რომ ქვევით ჩამოსვლა ვერ შესძლებოდა. შეგირდი არ დაბნეულა, იქვე მიყრილი ხის ნაჭრებისგან ფრთები დაიმზადა, ცული ქამარში გაირჭო და კოშკიდან დაბლა დაეშვა. ძირს დაცემულს ცული მუცელში შეერჭო და გარდაიცვალა. იმ ადგილს ხერთვისელებმა მსხვერპლის ადგილი შეარქვეს. ისტორიული მასალები გვამცნობს, რომ ქართველ მეფეებს ხშირად მიუმართავთ ამქრებისთვის, როგორც მებრძოლი ძალისთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე თბილისის დაცვას ეხებოდა: „ამქარი ქართველი მეფეების დროს წარმოადგენდა ადგილობრივ გარნიზონს, რომელიც ტფილისს იცავდა მტრების თავდასხმებისაგან. ჯერ კიდევ 1803 წელს, განჯის ციხის აღების დროს, ქართულ ჯართან ერთად ტფილისის ამქრობაც იღებდა მონაწილეობას; 1826 წელს ამქრები დარაჯობდნენ ნავთლუღის ჰოსპიტალს, არა მწყობრ ჯარისკაცებთან ერთად; ხოლო 1854 წელს, ოსმალეთთან ომის დროს, გენერალ რეადის მიერ, სხვა მოქალაქეებთან ერთად ტფილისის ამქრებიც იყვნენ გაწვეულნი და ეს ხალხი მთლიანად შეიარაღებული ერთსულოვნად გამოცხადდა“. მეფის რუსეთი ამქრობის ინსტიტუტის წინააღმდეგი იყო. ისინი ამქრობაში ხედავდნენ გაერთიანებულ წვრილ ვაჭრობას, რომელიც ერთგვარი მონოპოლიური უფლებებით სარგებლობდა. 1849 წელს საგუბერნიო სამმართველოში შეიტანეს განცხადება ამქრობის მოსპობის შესახებ, მაგრამ მიხეილ ვორონცოვმა, რომელიც ხშირად ადგილობრივი ადათ-წესების მცველად გვევლინებოდა, ამ უძველესი ორგანიზაციის ერთბაშად მოსპობა არ ისურვა. „ისინი ჩვენ არ გვაწუხებენ, თავიანთ წევრებს ეხმარებიან. შეიძლება ამქრობას ჰქონდეს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ რაიმე ცვლილების შეტანა ამ დაწესებულებაში, რომელიც საუკუნეებია არსებობს, ჯერ ნაადრევია; მათ ადათებში, მათ წესწყობილებაში იმდენი კარგი მხარეა, რომ ეს სიკეთე სჭარბობს მათ ნაკლულევანებასა“, – აცხადებდა ვორონცოვი. ასეც მოხდა, ამქრობის ინსტიტუტი კიდევ მრავალ წელს არსებობდა, თუმცა, რა თქმა უნდა, დროის სვლასთან ერთად ცვლილებებს განიცდიდა და პირვანდელ სახეს თანდათან კარგავდა. ბოლოს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა დარგის ამქარი, ანუ ხელოსანთა ორგანიზაციები შეაერთეს და ქალაქის სახელოსნო სამმართველოში ერთად მოათავსეს, სადაც კიდევ დიდხანს ბატონობდა ამქრული წესჩვეულებები და ტრადიციები.

ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასთან ერთად მე-19 საუკუნეში, ქართველ განმანათლებელთა მესვეურობით, სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სასწავლებლებს ჩაეყარა საფუძველი. ამ სახელობო სასწავლებლების კურსდამთავრებულობა პროფესიონალიზმის უმაღლეს დონეს ნიშნავდა. მსხვილი საწარმოების გაჩენასთან ერთად პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები შეიქმნა, რომელთა ბაზაზე დღესაც მოქმედებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

„საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომელშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი... მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან...“ (ილია ჭავჭავაძე, 1883)

თითქოს ილია ჭავჭავაძის ეს მოწოდება დაედო საფუძვლად მისი გიმნაზიელი მეგობრის, ილია წინამძღვრიშვილის განზრახვას. 1883 წლის 4 სექტემბერს, მისი დიდი ძალისხმევითა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერითა და დახმარებით, წინამძღვრიანთკარში გაიხსნა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლაში სწავლა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წესდებით და ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული პროგრამებით მიმდინარეობდა. სკოლაში ისწავლებოდა: მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეტყევეობა.

ილია ამ სკოლას ქართული ეროვნული საწყისების აკვანს უწოდებდა. პროგრამა, რომელიც იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მიერ იყო შედგენილი, პრაქტიკულ განათლებას ეფუძნებოდა. მოსწავლეები თეორიულ განათლებასაც იღებდნენ და პრაქტიკული მეცადინეობის ორ ან ზოგჯერ სამწლიან კურსსაც გადიოდნენ. ამას წინ უძღოდა ქართული ენის ზედმიწევნით სწავლა. აღსანიშნავია, რომ ილია წინამძღვრიშვილი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საერთაშორისო გამოცდილება გაეზიარებინა. სკოლას ჰქონდა ორგვარი წიგნთსაცავი მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისათვის, სამჭედლო-სახელოსნოები თანამედროვე მანქანა-იარაღებით, ფერმა, ოთახი, სადაც ზამთრობით სხვადასხვა ჯიშის მცენარეს ზრდიდნენ, საფუტკრე, მუზეუმი, ღვინის სარდაფი, სადაც საფრანგეთიდან ჩამოტანილი ღვინის საწური დღესაც ასრულებს თავის დანიშნულებას. სკოლის ტერიტორიაზე ილიამ ააგო ქვის ეკლესია, რომელიც მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და 1887 წლის 17 მაისს აკურთხეს.

მიუხედავად შეთავაზებული პროფესიების მრავალფეროვნებისა, სხვადასხვა მიზეზის გამო, საბჭოთა დროში პროფესიული სასწავლებლების პრესტიჟი დაბალი იყო. მათთვის მუდმივი პრობლემა იყო კონტინგენტის შევსება, ვინაიდან სკოლებიდან უმთავრესად იმ მოსწავლეებს გზავნიდნენ, რომელთაც კარგი მოსწრება არ ჰქონდათ. ეს ტრადიცია ბოლომდე გაჰყვა საბჭოთა პროფესიულ განათლებას და მიუხედავად მრავალი ცვლილებისა და მცდელობისა, პროფესიულ განათლებას დღემდე განიხილავენ (ძველი, საბჭოთა წარსულიდან გამომდინარე) ცუდი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთათვის სწავლის გაგრძელების ალტერნატივად.

გამოყენებული ლიტერატურა და ფოტომასალები:

1. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98
2. http://dzveli.blogspot.com/p/blog-page_31.html
3. https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=que&file=778330&code=1588282713
4. http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=51

თხილი – საუკეთესო პრაქტიკა

თხილის ბაღის გაშენება-მოვლა და პირველადი გადამუშავება

სახელმძღვანელოში განხილულია თხილის წარმოების მნიშვნელოვანი საკითხები, თეორიული და პრაქტიკული თემები: ბაღის დაპროექტება და გაშენება, ნიადაგის დამუშავება და ნაყოფიერების მართვა, სარგავი მასალის შერჩევა და წარმოება, თხილის ბაღის მოვლა: სხვლა-ფორმირება, მორწყვა, მცენარეთა დაცვის და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები, მოსავლის აღება, შენახვა, სურსათის უვნებლობა და შრომის დაცვის თანამედროვე მოთხოვნები. განხილულია ბიზნეს-გეგმის შედგენის ძირითადი საკითხები და მისი მნიშვნელობა ფერმერული მეურნეობისათვის; აგრეთვე თხილის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობის დაგეგმვა და მართვა. სახელმძღვანელო სრულად ითვალისწინებს მეხილის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად თხილის წარმოების (გაშენება, მოვლა, გადამუშავება) მოთხოვნებს. იგი სარგებლობას მოუტანს როგორც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს, ისე დარგის პრაქტიკოს სპეციალისტებს და მკვლევრებს, ასევე ფერმერებს.

თამარ სანიკიძე





კარტოფილის წარმოება – სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა

კარტოფილის წარმოების სახელმძღვანელო მოიცავს დარგის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. შედგენილია ექსპერტების მიერ, რომლებმაც შეიმუშავეს მოდულური ტრენინგ-პროგრამა კარტოფილის წარმოებით დაინტერესებულ მსმენელთათვის. სახელმძღვანელო იწყება კარტოფილის მორფოლოგიური დახასიათებით, ნიადაგის მომზადებით და გრძელდება აგრონომიული ღონისძიებების დეტალური მიმოხილვით.

აგრომეურნეობის მართვის ნაწილში დეტალურად არის განხილული კარტოფილის მწარმოებელი მეურნეობის მართვის საკითხები, ფერმერის ძირითადი ამოცანები და ყოველდღიური სამუშაოები. მოცემულია საქართველოს კარტოფილის მწარმოებელი მეურნეობების სტრუქტურა და აღწერილია წარმოების ტექნოლოგიური პროცესი. განხილულია შემოსავლები და დანახარჯები, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდები და მათი მნიშვნელობა მეურნეობისთვის, ასევე მოცემულია აგრომეურნეობის რენტაბელობის, სტაბილურობისა და ლიკვიდურობის ანალიზი. განხილულ საკითხებს თან ერთვის კარტოფილის წარმოების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიშები და მათი მიღების დეტალური განმარტება – გზამკვლევი.

თამარ სანიკიძე

„საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომელშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი... მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან...“

ილია ჭავჭავაძე
1893